პროლეტარიელო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 29-ე წელი

პარასკევი, 18 ივნისი, 1948 წ. № 120 (8164). ფასი 20 კაპ.

## დღეს გაზეთში:

სოფლის პარტორგანიზაციების ღირსების საქმე — მოწინავე (1-ლი გვერდი)
საკავშირო სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად (1-ლი გვერდი)
საბჭოთა კავშირში (1-ლი გვერდი)
პარტიული ცხოვრება—პირველადი პარტიული ორგანიზაციების უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად (მე-2 გვერდი)
ფლიერი გმირ—7 ნოემბრისათვის (მე-2 გვერდი)
კ. ჭიკინაძე — უფრო აქტიურად ებრძოლოთ პარტიულ-კოლმეურნეობრივ მუშაობა (მე-2 გვერდი)
მ. დუდუჩავა — თანამედროვეობისაგან მოთხოვნილია დაბალმოსავლიანობის წინააღმდეგ ხელოვნად გათმაცოცდნობისაგან (მე-3 გვერდი)
კარლო კალაძე — მასწავლებელი ქალი სოფლად—ლექსი (მე-3 გვერდი)
პრესის მიმოხილვა — ოკუპანტიულოგიზისათვის ბრძოლის მაგალითები (მე-3 გვერდი)
უცხოეთის ამბები — დეკანოზები (მე-4 გვერდი)

## სოფლის პარტორგანიზაციების ღირსების საქმე

საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციებმა სერიოზული მუშაობა გააჩაღეს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებათა განხორციელებისათვის და ძნიშნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში. ამ მუშაობის შედეგებმა თავი იჩინეს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წარმოებულ მიღწევებში.

ხუთწლეული მესამე წლის გეგმა სოფლის მეურნეობის განვითარების კიდევ უფრო ძლიერ ტემპს ითვალისწინებს: მარშანდელთან შედარებით მარცვლეული და სხვა კულტურების ნათესს გადიდებას, მოსავლიანობის შემდგომ წრდას. ამ ამოცანის განხორციელება მოითხოვს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის შემდგომ გაუმჯობესებას, სასოფლო პარტიული ორგანიზაციის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გადაჭრით ამაღლებას.

სოფლის მეურნეობისადმი სწორი, ყოველდღიური ხელმძღვანელობის მრავალი მაგალითის დასახელება შეიძლება საქართველოს პარტიული ორგანიზაციების მოღვაწეობის პრაქტიკიდან. დავასახელებთ მხოლოდ ერთი რაიონის მაგალითს, ბახმარაძის რაიონის კოლმეურნეობებში ყოველწლიურად დიდდება მარცვლეული, სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მოსავლიანობა. სოფლის მეურნეობაში მოპოვებული წარმატებისათვის რაიონს წელს მეხუთეჯერ გადაეცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი დროშა. 1947 წელს მოპოვებული გამარჯვებისათვის სოფლის მეურნეობის 11 მუშაკს სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა, 52 ორდენებითა და მედლებითაა დაჯილდოებული.

წელს ბახმარაძეები კიდევ უფრო მაღალ მოსავალს ელოდნენ. ამთ მიზნად დასახეს გასულ წელთან შედარებით სახელმწიფოს ჩაბარონ სამნახევარი მილიონი კილოგრამით მეტი ჩაის ფოთოლი, 30 მილიონი ცალით მეტ ციტრუსოვანთა ნაყოფი, გადიდონ ტუტგოლა და ეროფლინი კულტურების მოსავლიანობა. რაიონის კოლმეურნეობებმა ეს წარმატებანი მიღწეულია პარტიის რაიონული კომიტეტის მხრივ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაძლიერებით, საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლებითა და განმტკიცებით. სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობა, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი ამხ. ჯაბეკა ხელმძღვანელობს, რეაპუბლიკაში სახელმოხვეჭილი კოლმეურნეობაა. პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიური პოლიტიკური მუშაობით განუმტკიცებს კოლმეურნეებს საზოგადოებრივი შრომისადმი სიყვარულს. კოლმეურნეობას 3 სოციალისტური შრომის გმირი ჰყავს, პარტიული ორგანიზაცია მათს გამოცდილებას ფართოდ ხერგავს კოლმეურნეობაში. მაღალი მოსავლისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში 1.200 კოლმეურნე, ყველა ბრიგადა და რეკორდ მფლობელობს, გამარჯვებულთათვის პარტბიროს 16 გარდამავალი დროშა აქვს დაწესებული. კოლმეურნეობის განმტკიცებისათვის მიმართულ ყველა ღონისძიებას პარტიული ორგანიზაცია კოლმეურნეობის გამეგობასთან მტკიცე კავშირში, საკოლმეურნეო მასებზე დაყრნობით ახორციელებს. კოლმეურნეობაში ზუნარად მოდიან პარტიის რაიკომის მდივნები, განყოფილებათა გამგეები, ინსტრუქტორები, მოდიან დასახმარებლად, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გასაძლიერებლად, გამოდიან მოხსენებებით, საუბრებით კოლმეურნეთა წინაშე.

ვერ ვიტყვით, რომ ყველა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაცია ერთნაირად ზრუნავდეს სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის. რესპუბლიკის ზონგიერთ რაიონში წლითიწლობით ეცემა მოსავლიანობა, არის სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დამახინჯებათა შემთხვევები, საზოგადოებრივი მიწების მითვისების ფაქტები, რაც პირველ რიგში უთუოდ პარტიის რაიკომის მხრივ სუსტი, არადამაკმაყოფილებელი ხელმძღვანელობით უნდა ახსნას. სტალინირის რაიონის სოფელ ხეთაგუროვის კოლმეურნეობაში უბარისხოდ და დაგვიანებით სრულდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, დაბალია შრომის დისციპლინა, არის არტელის წესდების დამახინჯების ფაქტები. ეს იმით არის გამოწვეული, რომ კოლმეურნეობაში არა სრულ პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი, ორგანიზატორული ხელი. პარტიული ორგანიზაცია ინტერესს არ იჩენს კოლმეურნეობის განმტკიცებისადმი, არ ცდილობს გამოამეცავნოს და გამოასწოროს ნაკლოვანებანი. მარტო ის ფაქტი, რომ 1945 წლიდან აქ კოლმეურნეობის 4 თავმჯდომარე შეიცვალა, ადასტურებს პარტიის სტალინირის რაიკომის მხრივ არადამაკმაყოფილებელ ხელმძღვანელობასა და დახმარებას. ასეთი ფაქტები სხვაგანაც გვხვდება.

კოლმეურნეობათა ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცება, ჩამორჩენილი კოლმეურნეობების მოწინავეთა დონეზე აყვანა, მოსავლიანობის განუწყვეტელი ამაღლებისა — სოფლის პარტიული ორგანიზაციების პირველხარისხოვანი ამოცანაა.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესება პარტიის რაიონული კომიტეტებისაგან პირველ რიგში მოითხოვს საკოლმეურნეო ეკონომიკის საკითხებში ღრმად ჩაწვდომას, თვითეული კოლმეურნეობაში არსებული ზდგომარეობის საფუძვლიან ცოდნას და ქმედითი ღონისძიების განხორციელებით, პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის საშუალებით კოლმეურნეობათა დაწინაურებას და საერთო ღონისძიების მიღწევას.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების როლის, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლება კოლმეურნეობათა განმტკიცების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა. პარტიის რაიონული კომიტეტები სოფლის მეურნეობის განმტკიცებისაკენ მიმართულ ყველა ღონისძიებას სწორად პირველადს პარტიულ ორგანიზაციებზე დაყრნობით უნდა ახორციელებდნენ. ამიტომ პარტიის რაიონულმა კომიტეტებმა განუწყვეტლივ უნდა იზრუნონ საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაციების განსამტკიცებლად, ყოველდღიურად უხელმძღვანელონ და დაეხმარონ მათ ამაში, რომ ისინი ნამდვილად ასრულებდნენ მასების ორგანიზატორის როლს.

აღსანიშნავია სოფლად პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება, სოფლის კომუნისტების პოლიტიკური განათლების შემდგომი ამაღლებისათვის შეუნელებელი ზრუნვა, თვითეული კოლმეურნის ღრმად გარკვევა იმ დიდ ამოცანებში, რომლებიც ამჟამად დასახულია საკოლმეურნეო სოფლის წინაშე. საგაზეთო-პროპაგანდისტული მუშაობის ახალ მაღალ საფეხურზე აყვანა, რაიონის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკების წმირი გამოსვლა კოლმეურნეთა წინაშე პოლიტიკური მოსსენებებითა და საუბრებით, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა, სოციალისტური შრომის გმირების გამოცდილების ფართო პოპულარიზაცია, მათს მეთოდებზე კოლმეურნე მასების აღზრდა სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ეფექტურობა ეუმნშენელოვანესი პირობებია.

ყოველდღიურად ავამაღლოთ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ხარისხი, პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაცხოველებით მიეთანწოოთ კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ და სამეურნეო განმტკიცებას, მოსავლიანობის განუწყვეტელ ზრდას, ბოლშეეკურად გავაღალოთ საქართველოს კოლმეურნეების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მიერ დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა.

## საკოლმეურნეო სოფლის მთელი ძალები დავრაზმოთ დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად

### კექვარზე მოვიყვანთ 126 ცენტნერ ყურძენს

კოლმეურნეობამ გასული წელი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა. თვითეულ ჰექტარ ფართობზე საშუალოდ მიიღო 65 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ყურძენი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 46 ცენტნერისა, ხოლო სამნეოს საშუალო მოსავალი ჰექტარზე მიიღო 25 ცენტნერი. კარგი მოსავლის გამო შრომადღეზე განაწილდა 4 კილოგრამი სიმინდი, ნახევარი ლიტრი ღვინო და 5 მანეთი.

მაგრამ ჩვენი კოლმეურნეობა მოპოვებული მიღწევებით არ კმაყოფილდება. დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ვიკისრეთ 18 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოვიყვანოთ 126 ცენტნერი ყურძენი.

ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს ცალკეულმა კოლმეურნეებმა, მერგოლურებმა და ბრიგადირებმა. მაგალითად, მევენახეობის პირველმა ბრიგადამ (ხელმძღვანელი ე. კვანტრიშვილი) იკისრა მისთვის მიჩენილი 12 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 100 ცენტნერი ყურძენი; მეორე ბრიგადამ (ხელმძღვანელი სიმონ ჭანკვეტაძე) — 10 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღოს 105 ცენტნერი ყურძენი; გ. კვანტრიშვილის ბრიგადამ—7 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიწიოს 120 ცენტნერი, ხოლო მერგოლურმა ი. გაჩეჩილაძემ პირობა დასდო 2,5 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანოს 125 ცენტნერი ყურძენი. ახალი ვალდებულებები იკისრეს ბერეთელ მერგოლურებმა გრიმა, ვედია და კუკური კვანტრიშვილებმა, ეკვანენი და ალექსანდრე ჭანკვეტაძეებმა.

დიდი სტალინისათვის მიცემული სიტყვის შესასრულებლად თავდადებული შრომა გაჩაღდა. ვენახის სიმეხრის მოსასპობად გადაწყვეტილია 20.000 ძირი ვაზი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.000 ძირისა. დღეისათვის ვენახის მთელი ფართობი შეწამლულია სამჯერ. სტახანოვური ნაკვეთების თვითეულ ჰექტარზე შეტანილია 20 ტონამდე ორგანული სასუქი. ამკამად მიმდინარეობს ვენახის მეოთხე შეწამლვა.

ჩვენი კოლმეურნეობა იბრძვის მარცვლეულის უხვი მოსავლისთვისაც. უკვე დავამთავრეთ სიმინდის პირველი თოხნა. ახლა ნათესებს მეორეჯერ ვთოხნით.

ყველაფერს გავაკეთებთ, რათა მთლიანად შეეასრულოთ დიდი სტალინისათვის მიცემული პირობა.

**მ. ჭანკვეტაძე**
ზესტაფონის რაიონის სოფელ თეძრინის მოწინავის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე.



**თეთრი წყაროს რაიონი.** კოდის ბაკურაძის სახელობის კოლმეურნეობის ფარეხობზე ასურეთის ბეტ-ის მეორე ბრიგადა ახალ მოსავალს ელებს.

ფოტო რ. ალოფოვისა.

## ახალი შრომითი აღმავლობა

მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა სტუდა მისცეს ამხანაგ სტალინს, რომ წელს მოიყვანენ ჩაის, ციტრუსების უხვ მოსავალს.

ორდენოსანი ბრიგადირი ი. ხუციძე ყველფერს აკეთებს იმისათვის, რომ წელს შარშანდელზე უკეთ მოუტროს პლანტაციებს და 17 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მიიღოს 6.500 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ხოლო ლიუი ხურციძის რგოლში სამი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე—14.000 კილოგრამი.

მეთოქეობაშია ბრიგადის ხელმძღვანელი ი. წოლილიე პირობას იძლევა, რომ 4.000 ძირ მსხმოიარე სრულასაკოვან თვითეულ ხეზე მიიღებს 900 ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს, ბერიოლური მ. წოლილე იბრძვის 2.000 ძირი მანდარინის თვითეულ ხეზე 1000 ცალი ნაყოფის მიღებისათვის.

კოლმეურნეები მასობრივად გამოდიან ჩაის ფოთლის კრეფაზე. სტახანოველმა ლიუი ხურციძემ ერთ დღეს 12 კილოგრამის ნაცვლად 138 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა, დარეკა ტაციძემ—124 კილოგრამი, ელენე მიმინოშვილმა—75 კილოგრამი.

სოფელ კონკვათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე—ამხ. კოსტავა) ნაკისრი აქვს 30 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოკრიფოს 5 ტონა ჩაის ფოთოლი. მერგოლურებმა ნადია გოგიტიძემ და ლეონეთ გოგუაძემ იკისრეს ორ-ორი ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 8.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღონ, სტახანოველმა ლიდა ცერეკვაძემ კი ნახევარ ჰექტარზე 7.000 კილოგრამი ჩაის მიღება იკისრა.

სოფელ ძიმითის „ახალგაზრდა კომუნისტის" სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე—ამხ. მუხაშავრია) ნაკისრი აქვთ 32 ჰექტარის ყოველ ჰექტარზე 5 ტონა ჩაის მიღება, ამასთან წარმატებით მუშაობენ სხვა კულტურების მოსავლიანობის გადიდებისთვისაც. კარგი მუშაობით განსაკუთრებით გამოირჩევიან ის ბრიგადები, რომლებსაც ამხანაგები ხინთიბიძე, თავფიფილი და ქართველიშვილი ხელმძღვანელობენ.



### სამგზავრეიელი კოლმეურნეები აძლიერებენ მუშაობას

დიდი სტალინისათვის მიცემული პირობის შესრულება ძთელი ქართველი ხალხის სახელია და ღირსების. საქმეა,—ამ აზრით ეროსულოვნად დარაზმულნი მუშაობენ ახლა სამტრედიელი კოლმეურნეები.

სოფელ ღანირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეექვსე ბრიგადის ბრიგადირი ბ. ჭოტოლაძე პირობას იძლევა, რომ 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მიიღებს 170 ფუთი სიმინდს. ამავე ბრიგადის წევრმა ერმილი ოდილაკაძემ მიჩენილი 3 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 220 ფუთი სიმინდის მოყვანა იკისრა, მთლიანად კოლმეურნეობამ—70 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 170 ფუთი სიმინდისა, ხოლო დანარჩენ 130 ჰექტარზე—გეგმის მნიშვნელოვანი გადაჭარბება.

ძველი სამტრედიის ღენინის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლურებმა ს. ქაჯაიამ, ე. უნგიაძემ, ა. გეგეშიძემ, ა. ახვლიანმა და სხვებმა ერთსულოვნად განაცხადეს, რომ თვითეული 10 ჰექტარი ფართობის ყოველ ჰექტარზე მოიყვანენ 75 ცენტნერ სიმინდს, ხოლო მთელანად კოლმეურნეობამ იკისრა 100 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 75 ცენტნერი სიმინდი, დანარჩენ 162 ჰექტარზე კი საშუალოდ 25 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17-19 ცენტნერისა.

რაიონში ახალი ძალით ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება ნარეკვა-ნათესის უკეთ მოვლისა და უხვი მოსავლის მიღებისათვის.

**ვ. კოკალეიშვილი**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

### მეჯი ჩაი. ყურძენი. ხილი...

ტყიბულელი კოლმეურნეები ფარეთოდ აჩაღებენ მუშაობას ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილ წერილში ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესასრულებლად.

სოფელ ცეცხვათის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა ე. არაბიძემ კოლმეურნეთა საერთო კრებზე განაცხადა, რომ დიდი სტალინისათვის მიცემულ პირობას — 20 ჰექტარი ფართობის ყოველი ჰექტარიდან 55 ცენტნერი ხილის მიღების შესახებ პირნათლად შესრულებს.

ახალსოფელელმა კოლმეურნეებმა პირობა დასდეს გადაჭარბებით შეასრულონ ჩაის ფოთლისა და ციმინდის მოსავლის. გეგმები, სახელმწიფოს ვალდებულების გადამტბანი ჩაბარონ ხილი. სტახანოველმა თამარ ცირეკიძემ ვალდებულება აიღო მისთვის მიჩენილ ნახევარ ჰექტარზე ტაკლტაციაში მოკრიფოს 6.000 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

სოფელ კისორეთის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირმა ნ. ლომთათიძემ იკისრა 2 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე მიიღოს 100 ცენტნერი ყურძენი, ხოლო ერთ ჰექტარზე—80 ცენტნერი. მთლიანად კოლმეურნეობამ იკისრა 3 ჰექტარი ვენახის ყოველ ჰექტარზე 100 ცენტნერი ყურძნის მიღება, დანარჩენი ფართობის ყოველ ჰექტარზე კი სულ ცოტა 80 ცენტნერისა, 1 ჰექტარ ჰპლანტაციაში 8.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთლის მოკრეფა, დანარჩენ ნაკეთების თვითეულ ჰექტარზე—4.000 კილოგრამისა.

ბელადისადმი გაგზავნილმა წერილმა კოლმეურნეები უხვი მოსავლის მოყვანისათვის აღაფრთოვანა.

**ს. მეჩკვილაძე**
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

## საბჭოთა კავშირში

### ახალი საცხოვრებელი სახლები მოსკოვში

მოსკოვის ცენტრალურ მაგისტრალებზე ყოველდღე იზრდება სამშენებლო მოედნების რიცხვი. სადოოსამოტეჩნიკის ქუჩაზე დაიწყო შვიდსართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მეშაკთათვის. სახლი შენდება არქიტექტორ ბ. ს. ეროფეევის პროექტით. ამ შენობის სამ კორპუსში დაპროექტებულია 110 ბინა. სამზარეულოებში მოწყობილი იქნება კარადები, მაცივრები, ნაგვისგამტანები. სახლის მთავარი ფასადი მოპირკეთდება ლია ფერის ბეტონბრიგი ქვით, ზემძრკველი—გაკირალებული გრანიტით.

ოჯანყების მოედნისა და ვოროვსკის ქუჩის კუთხეში სამრეკველი ეკრება საცხოვრებელ სახლს პიერომეტეოსამსახურის მთავარი სამმართველოს თანამშრომელთათვის. მის 6 სართულში იქნება 68 კომფორტაბელური ბინა. პირველ სართულში მოთავსდება მაღაზიები და კიოსკები.

ბოლშაია ნიკიტსკის ქუჩისა და ტვერის ბულვარის კუთხეში, კ. ა. ტიმირიაზევის ძეკლის პირდაპირ, აიგება ექვსსართულიანი საცხოვრებელი სახლი არქიტექტორების ნ. ნ. სელეგანოვისა და კ. დ. კისლოვას პროექტით. (საკ.ფსი).

### ი. ბ. სტალინის თხზულებათა მეოთხე ტომი ყაზახურ ენაზე

**ალმა-ათა.** (საკ.ფსი). ყაზახეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ყაზახურ ენაზე გამოსცა ი. ბ. სტალინის თხზულებათა მე-4 ტომი. წიგნი გამოვიდა 30 ათასი ცალი ტირაჟით.

### ნათესების დაცვა მავნებლებისაგან

ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები დიდ მუშაობას ეწევიან მიხდრის, ბოსტნისა და ბაღის მცენარეების დასაცავად მავნებლებისაგან, დაავადებისა და სარეველა ბალახებისაგან.

კალიისებრ მავნებელთა მოსასპობად,—განეცხადა საკ.ფსი კორესპონდენტს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა მავნებელებთან ბრძოლის ბიუროს უფროსმა ამხ. ა. მ. ნიკიფოროვმა,—პირველად იქნა გამოყენებული დიდი მასშტაბით ახალი პრეპარატი — გეკქაალლორანი. მწერები იხოცებიან დადებულ მცენარეებისათვის ამ შხამის მოსხურების რამდენიმე საათის შემდეგ. კალიისებრ მავნებელთა გამრავლების ძირითად კერაში მოსხურება ჩატარებულია თვითმფრინავებით.

### სასწორები სათესლე ლაბორატორიებისა და დამამზადებელი კუნძულებისათვის

**ხარკოვი.** (საკ.ფსი). ხარკოვის სასწორების ქარხანამ ვადამდე შეასრულა ნახევარი წლის გეგმა. სათესლე ლაბორატორიებისა და დამამზადებელი პუნქტებისათვის გამოშუბებულია ათასი ეაასწორი. ათვისებულია ეგრეთვე ლაბორატორიული სანალაზო სასწორები.

### ჩვენი ქვეყნის მეს-ებმა შეასრულეს საბაზაფხული კულტურების თესვის გეგმა

სსრ კავშირის მინქანა-ტრაქტორთა სადგურებმა საგაზაფხულო კულტურების თესვის გეგმა შეასრულეს 100.2 პროცენტით.

თესვისშრნა კულტივაციის გეგმა შესრულებულია 117 პროცენტით, საგაზაფხულო ხვნისა—99 პროცენტით.

სულ სატრაქტორო სადგურებმა შესრულებულია 14 მილიონი ჰექტარით მეტი, ვიდრე გასული წლის ანალოგიურ დროისათვის.

### კომბაინერთა მომზადება

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლები ჭკის დასაწყისისათვის ჩვენს ქვეყანას მოუმზადებენ რამდენიმე ათეულ ათას კომბაინერს.

წარმატებით მიმდინარეობს სწავლება კრასნოდარის მხარეში, კუბანში, როსტოვისა და ტომსკის ოლქებში, საქართველოში, თათრეთისა და ბაშკირეთის ას რესპუბლიკებში. აქ მეტი კომბაინერი მზადდება, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. ჩიმორჩნენ ალტაია მხარე და ხოვოსიბირსკის ოლქი, სადაც მოსწავლეთა შეკრება ჯერაც არ დამთავრებულა.

ტულის ოლქში დამთავრდა თეთმეტადელი კომბაინების მძიღოლთა მომზადება. ეუანლოვ: დღეებში ბოსალლის ასაღები ახალი მანქანების მძღოლებს გამოუშვებენ სარატოვის, კუბანშვეის, ყირიმისა და სხვა ოლქების სასოფლო-სამეურნეო სკოლები. (საკ.ფსი).

## პარტიული ცხოვრება

# პირველადი პარტიული ორგანიზაციების უნარიანი ხელმძღვანელობის შედეგად

ძვირფასი ტექნიკური კულტურის — ჩაის, ციტრუსების, ტუნგოს და ეროვნული კულტურების მაღალ მოსავალს იძლევა მახარაძის რაიონი. სოფლის მეურნეობაში თვალსაჩინო წარმატებებისთვის რაიონს მეხუთეჯერ გადაეცა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. გასულ წელს მაღალ მოსავლის მიღებისათვის სოფლის მეურნეობის 11 მუშაკს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, 52 დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით.

მახარაძელებმა პირობა დასდეს წელს კიდევ უფრო მაღალი მოსავალი მოიწიონ. მათ განიზრახეს მიიღონ ჩაის ფრესკი ფოთოლი სამნახევრი მილიონი კილოგრამით მეტი, ხოლო ციტრუსოვანთა ნაყოფი 30 მილიონი ცალით მეტი, ვიდრე შარშან.

ჩაის, ციტრუსების, ტუნგოსა და ეროვნული კულტურების უხვი მოსავლის მიღებით სახელი მოიხვეჭა სოფელ ნატანებმა. ს. პ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობამ. ამ წარმატებებში დიდი როლი ეკუთვნის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციას, რომელიც პარტიის 134 წევრსა და წევრობის 27 კანდიდატს აერთიანებს. მინდვრად და ბაღებში 61 აგიტატორი ეწევა აგიტაციას. აგიტატორებთან სისტემატიურად სუბრობს პარტბიუროს მდივანი სამეურნეო გეგმების შესრულებისა და სოციალისტური შეჯიბრების საკითხებზე. პარტიული ორგანიზაცია განაზოგადებს მოწინავეთა გამოცდილებას. მაგალითად, შარშან ამ კოლმეურნეობის მეგრელურმა კომენისტმა დარეჯან ტაკიძემ ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი მოიყანა, 4 ჰექტარი ფართობის თვითეული ჰექტარზე 15.700 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მიიღო. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მრძანებულებით მას სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მიენიჭა. ამხ. ტაკიძემ წელს უფრო მეტი ენერგიით გააჩაღა უხვი მოსავლისათვის ბრძოლა და თავისი ვალდებულებაც გაადიდა. მან იკისრა თვითეულ ჰექტარზე მიიღოს სულ მცირე 18.000 კილოგრამი ფოთოლი.

პარტიულმა ორგანიზაციამ, რომლის მდივანია ამხ. კ. ხომერიკი, შესანიშნავი უხვი მოსავლის ოსტატის გამოცდილება გაეცნო ყველა კოლმეურნისათვის. კრეფის წინ მოაწყო ჩაის მკრეფავთა კრება, რომელზეც მოსმენილნი იქნა სოციალისტური შრომის ვმირის ფ. ტაკიძის საუბარი: „როგორ მივიღოთ ჩაის ფოთლის უხვი მოსავალი". მეჩაიეებმა დაათვალიერეს ტაკიძის პლანტაციები.

აგიტატორებმა კ. ლომაძემ, შ. ვაშაკიძემ, გ. წითლიძემ და სხვ. მოაწყეს სოციალისტური შეჯიბრება ჩაის კრეფაში და გამოუშვეს 26 სავეკე გაზეთი. შესანშნავია გაზეთები, რომლებსაც მ. ღლონტი, ნ. ნაკაიძე და გ. ხომერიკი ხელმძღვანელობენ. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 1.200 კოლმეურნე, ყველა ბრიგადა, რეგიონი. შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის პარტბიუროს დაწესებულები აქვს გარდამავალი დროშები.

პარტბიუროს და კოლმეურნეობის გამგეობის ხელმძღვანელობით ხშირად ეწყობა ბრიგადების წვეთრა კრებები, რომლებსაც ხელმძღვანელი მუშაკებიც ესწრებიან. კოლმეურნეობის მე-11 ბრიგადას ლენინის ორდენსანი კომუნისტი იპოლიტე ხერციძე ხელმძღვანელობს, ბრიგადა წლითი წლობით ზრდის ყველა კულტურის მოსავალს. გასულ თვეში კოლმეურნეთა ამოცანების ამ ბრიგადაში სუბარი ჩაატარა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანმა, სოციალისტური შრომის გმირმა ამხ. ვ. სიხარულიძემ.

კოლმეურნეობის ბევრ ბრიგადასა და რგოლს პარტიის წევრები და კანდიდატები ხელმძღვანელობენ. კომუნისტები და უპარტიოები იბრძვიან, რათა წელს გეგმის გადამეტებით ჩაბარონ სახელმწიფოს 3.200 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და 4 მილიონი ცალი ციტრუსი ნაყოფი.

სოფელ შრომის ორკორნეკიძის სახელობის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია პარტიის 105 წევრსა და კანდიდატს აერთიანებს. პარტბიუროს მდივანი ამხ. ა. ჩიგოგიძე შარშან კოლმეურნეობაში უხვი მოსავლის მიღებაში პირადი მოხალისეობისათვის დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

კარგად არის დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა. მეშვიდე ბრიგადას სოციალისტური შრომის გმირი კომუნისტი კ. ბორგოლაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადის აგიტატორად მუშაობს სასოფლო საბჭოს მდივანი ნ. ფ. ჩხაიძე, ბრიგადირი და აგიტატორი სისტემატიურად უშვებენ კედლის გაზეთს.

მეგრელურს, სოციალისტურ შრომის გმირს ელენე ხელაძეს პარტორგანიზაციამ აგიტატორობა დაავალა. ხელაძე კოლმეურნეებს ხშირად ესაუბრება სანიტარიული საკითხებზე.

რაიკომი სისტემატურ დახმარებას და ხელმძღვანელობას უწევს პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. ბიუროო ხშირად ისმენს პარტიული ორგანიზაციების მდივნების ანგარიშს. აპრილში რაიკომმა პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის მოაწყო სემინარი.

მახარაძელი კომუნისტები ენერგიულად იბრძვიან, რათა წარმატებით გაზაფხრიელნენ ბელადისათვის მიცემული პირობა, მიმდინარე წელს გადაჭარბონ ჩაის მწვანე ფოთლის ბმადეი სახელმწიფოს ჩაბარონ 1.084 ათასი კილოგრამით მეტი ჩაის მწვანე ფოთოლი, ვიდრე 1941 წელს ჩაბარეს.

**ლ. ლოლაძე**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# წლიური გეგმა—7 ნოემბრისათვის

## გამომუშავების ახალი ნორმების დანერგვის შედეგ

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის სწორსა და რაციონალურ დანაწილას. ხშირად მოძველებული ნორმები ხელს უშლიან წარმოების წინსვლას, ბის რეტაბელურ მუშაობას. ასეთი მოძველებული და ფრთხეშეული ნორმები დროზე უნდა გადაისინჯოს და შეიცვალოს ახალი ნორმებით, რომლებიც შესაბამებინ წარმოების განვითარების თანამედროვე დონეს.

თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში ამ ბოლო დროს ფართოდ დაინერგა ახალი ტექნიკა და მოწინავე ტექნოლოგია, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად შეტანილია საწარმოო ციკლი, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მაგრამ ნორმები, რომლებიც კვლავ ძველი რჩებოდნენ, წინ ეღობებოდნენ წარმოების შემდგომ წინსვლას. მაგალითად, პირველ მექანიკურ საამქროში, სადაც თვეური საწარმოო გეგმა 102-105 პროცენტით სრულდებოდა, ნორმების გადაჭარბებით გამომუშავება საშუალოდ 180-190 პროცენტს შეადგენდა. აქ აშკარად სჩანდა შუმბოის ახალ პირობებთან ძველი ნორმების შეუსაბამობა. ასეთივე მდგომარეობა იყო სხვა სამამქროშიც.

სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სამინისტროს ბრძანების საფუძველზე ჩვენ ჩავატარეთ წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა და მიმდინარე წლის აპრილში გადავსინჯეთ ქარხანაში მოქმედი ნორმები. ერთიერთზედ მიღებულ და დამტკიცებულ იქნა მთელი რიგი საორგანიზაციო-ტექნიკური ღონისძიებანი ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის შემდგომი დანერგვისათვის წარმოებაში. ნორმების გადასინჯვაში ფართო მონაწილეობა მიიღეს ოსტატებმა, ტექნოლოგებმა და მოწინავე სტახანოველებმა.

ნორმების გადასინჯვამ საშუალება მოგვცა დაზგების გამოშვების შრომატევადობა შეგვემცირებინა 20-25 პროცენტით, რაც ჩვენი ქარხნის უფრო ძალაი რენტაბელური მუშაობის საწინდარია. ახალი ნორმების წარმოებაში დანერგვის შედეგე ქარხნის მუშები და სტახანოველები სოციალისტური შრომის მაგალითებს იძლევიან. ამ კრება ზეინკლები ამხ. ბენდიანიშვილი და მაკაოოვი, ხარატები ავაკაანოვი, ტკალოვი, ზემსკი და სხვები ახალ ნორმებს სისტემატურად 300-350 პროცენტით ასრულებენ.

მთელი ქარხნის კოლექტივი იბრძვის საწარმოო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში განხორციელებისათვის.

**ინჟინერი ლ. ზურაბიშვილი**

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ტექნიკური დინორმების ბიუროს უფროსი.

# მილიონი მანეთი ზეგეგმიური დაგროვება

ბორჯომის კალინინის სახელობის შუშის ქარხნის კოლექტივმა ნახევარი წლის გეგმა 25 აპრილისათვის შეასრულა, ხოლო 6 თვის დაგეგმა 1 ივნისისთვის 108,8 პროცენტით ჭარხნდა განხორციელდა. ამავე პერიოდში ქარხანამ გასწია 980 ათასი მანეთის ეკონომია.

თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივებმა, თანამონაპა ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად დაიჭერა მხარი ინკარა წლიური გეგმა შეასრულოს 7 ნოემბრისათვის, 20 პროცენტით გადაღიოს შრომის ნაყოფიერება, 26 პროცენტით შემციროს პროდუქციის თვითღირებულება, დაზოგოს 500 ტონა საწვავი, 400 ტონა ნედლეულით და 60 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცეს 1 მილიონი მანეთი დაგროვება.

კიდევ უფრო გადიდებული ვალდებულებანი იკისრეს ქარხნის წარჩინებულმა სტახანოველებმა ა. შუბითიძემ, ა. ბარათაშვილმა, ვ. ირონნაშიძემ, გ. ბოძაძემ და სხვებმა.

**ვ. ბუაბენიძე**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# გორელი კოოპერაციორების თაოსნობა

გორის რაიონული კოოპერაციის მუშაკთა აქტიური კრებამ, რომელიც 10 ივნისს შეიკრიბა, განიხილა მოსკოვისა და თბილისის მოწინავე საწარმოთა კოლექტივების მიმართვა წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესრულების შესახებ და ერთსულოვნად შეეფეროდა ამ პატრიოტულ ინიციატივას. კრებამ მოწოდებით მიმართა რესპუბლიკის სამომხმარებელო კოოპერაციის მუშაკებს ფართოდ გაგაჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საკონსულბრუნვის წლიური გეგმის 7 ნოემბრისათვის შესასრულებლად. თავის მხრივ გორის რაიკოოპკავშირის მუშაკებმა იკისრეს საცალო საკონსულბრუნვის წლიური გეგმა შეასრულონ დიდი ოქტომბრის 31-ე წლისთავისათვის. სპპაიო დაგროვების წლიური გეგმაც შესრულებული იქნება 7 ნოემბრისათვის. დაგროვების წლიურ გეგმას ყველა დარგები მიხედვით შეასრულებენ 110 პროცენტით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების და ნედლეულის დამზადება - შესყიდვის გეგმებს — 10 დეკემბრისათვის, ნნიშვნელოვნად შემცირდება ღეპტიორეფორმა ფანდალი, მიაღწევენ 0,2 პროცენტ ეკონომიას ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯებში.

რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკებმა ფართოდ გააჩაღეს მუშაობა ნაკისრი ვალდებულებათა შესრულებისათვის. რაიკოოპკავშირმა საცალო საქონელბრუნვის მეორე კვარტალის გეგმა ვადაზე 20 დღით ადრე შეასრულა.

**შ. ჩუბინიძე**

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

# განვდევნოთ სარეწაო კოოპერაციიდან უცხო, სპეკულანტური ელემენტები

ამ დღეებში შესდგა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური თათბირი, რომელშაც განიხილა ორი საკითხი—სარეწაო კოოპერაციის არტელებისა და საწარმოების მიერ განვლილი 5 თვის საწარმოო გეგმის შესრულების შედეგებისა და მომდინარე წლის საწარმოო დავალების ვადამდე განაღდების ღონისძიებათა შესახებ და სარეწაო კოოპერაციაში უცხო, სპეკულანტურ ელემენტთა შეპარვის აღსაკვეთად საპირო ზომების შესახებ.

მოხსენებიდან საწარმოო დავალებათა შესრულების მიმდინარეობისა და წლიური გეგმის ვადამდე შესრულების ღონისძიებათა შესახებ, რომელიც ამხ. ა. იეანიძემ გააკეთა, გამოირკვა, რომ ბოლო ხანებში სარეწაო კოოპერაციამ საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლა საგრძნობლად გაუძლიერებია, მიღწეულია შესაძრნევი გარდატეხა არა მარტო გეგმების რაოდენობრივი მაჩვენებლებთან, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით შესრულებაშიც, მოპოვებულია პირველი წარმატებები პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოების დარგში. მაგრამ ყოველივე კი საკმარისი არ არის. საჭიროა კიდევ უფრო გაძლიერდეს ამ მიმართულებით დაწყებული მუშაობა და მტკიცედ დაინერგოს მაღალხარისხოვანი, იაფი და ლამაზად გაფორმებული პროდუქციის გამოშვების ჩვეული. სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა უფრო უნდა გაამლიერონ ბრძოლა საკუთარი საწარმოო მარკისათვის, გამოუშვან მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

სარეწაო კოოპერაციაში კერძო მესაკუთრეთა შეპარვისა და კოოპერაციის სისტემიდან მათი განდევნის შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს უფროსმა ამხ. შ. აბაიშვილმა. მოცე რიგ არტელებში უცხო, სპეკულანტურმა ელემენტებმა, კერძო მესაკუთრეებმა მოახერხეს შეპარვა და მოკალთება, საარტელო საწარმოთა პირადი სარგებლობისათვის გამოყენება. იმ არტელებში, სადაც სამეთოთა საზოგადოებრიობისათვის ეს უცხო ელემენტები არიან შეპარულნი, ადგილი აქვს გფფლანგვას, საზოგადოებრივი ქონების დატაცებას, სპეკულაციას.

სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს მიერ ამ მხრივ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ არტელ „სარეწაოოლიფინონის" (თავმჯდომარე შ. რაზმაძე) ერთ-ერთ სამმეკრონი ხელმძღვანელად მოკალთებულ იყო ვინმე ცერონტანი, რომელსაც ეკუთვნოდა ამ საამქროს ძირითადი ინვენტარი. სამმეკრონი მომუშავენი არ იღებდნენ ხელფასს, პირადად იძენდნენ ლითონსს, ამზადებდნენ პროდუქციას, ახდენდნენ მის რეალიზაციას და ფულსაც თვითონ ინაწილებდნენ. ცერონტანმა ეს საარტელო საწარმო საკუთარი შემოსავლის წყაროდ გიხადა და თავს სრულიად დამოუკიდებლად გრძნობდა.

არტელ „ზუსტ დროშა" (თავმჯდომარე მ. ხოჯაკვეული) საათების შეძაკეთებელ სახელოსნოში ნაწილი ინვენტარისა ხელისუნლის ეკუთვნით. ასევეა არტელ „რუმბეშენი", სადაც აკეთ ავტოშემდეგებელი სახელოსნო, ხოლო ამ სახელოსნოს დანადგართა დიდი ნაწილი მისი გამგის პირად საკუთრებას შეადგენს.

ხშირად არტელებში შეპარული სპეკულანტური ელემენტების თავხედობა იქამდე მიდის, რომ საარტელო საწარმოს დაფფარავად იყენებენ სპეკულაციისათვის. არტელ „ფეხსაცმლის შეკეთებას" 45-ე სახელოსნოში გასაყიდად გამოტანილი ჩქონდათ ბავშვის ახალი ფეხსაცმელი, ავრეთვე ახალი ჩექმები. გამოირკვა, რომ ისინი შეკერილი იყო ამავე სახელოსნოს გამგის მიერ, რომელიც მათ ყიდდა და სისტემატურად ეწეოდა სპეკულაციას.

სპეკულანტური ელემენტებისადმი ასეთი წყარუება უმთავრესად ახასიათებ არტელების, ავრეთვე სარეწაო კოოპერაციის შესაბამის სადარგო გაერთიანებათა ხელმძღვანელების უმეტესმედოთით, არასაკმარ სიფხიზლით. ამასთან მოახსენებენ ღონეშნა სარეწაო კოოპერაციის სამმართველოს არასაკმარ მოქნილობა საკონტროლო-აღრეკვიზიო მუშობის სისუსტე.

სარეწაო კოოპერაციიდან უნდა განდევნონ კერძო მესაკუთრენი, სპეკულანტური ელემენტები. ამისათვის საჭიროა მათი გამოკლინება, სათანადო ღონისძიებათა დასახვა და განხორციელება. უნდა შეიქმნას ისეთი ძდგომარეობა, რომ ამ უცხო ელემენტებს დაბშული ექნეთ ყველა გზა სარეწაო კოოპერაციაში ხელახლა შეპარეისათვის.

თათბირის დასახა ღონისძიებანი სარეწაო კოოპერაციის სისტემის გასაჯანსაღებლად.

თათბირის მუშობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის - მოადგილემ ამხ. ვ. ბაქრაძემ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური ყომიტეტის მდივნის მოადგილემ კვებისა და მსუბუქი მრეწველობის დარგში ამხ. გ. ქარჩავამ, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნის მოადგილემ ვაჭრობის დარგში ამხ. ა. გიგოშვილმა, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნის მოადგილემ მრეწველობისა და ტრანსპორტის დარგში ამხ. ბ. ლელინმა და სხვ.

თათბირის მუშობა შეაჯამა ამხ. ვ. ბაქრაძემ.

# უფრო ავამაღლოთ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა

შარშან საქართველოს სსრ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობამ შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა. სახალხო მეურნეობის ყველა დარგში გადაჭარბებით შესრულდა ომის შემდგომი სტალინური ხუთწლეულის მეორე წლის დავალებანი. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მიღწევები. 1947 წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა მარცვლეული კულტურების უხვი მოსავალი მიიღეს და უკვე გადაჭარბეს საშუალო მოსავლიანობის საერთო მაჩვენებელს, რაც ხუთწლიანი გეგმით დაწესებულია 1950 წლისთვის. გასულ წელს მივიღეთ ცატრუსოვანთ და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების ყველაზე დიდი მოსავალი. 1947 წელს ჩაის, თამბაქოსა და მარცვლოვანი, კულტურების უხვი მოსავლის მიღებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით 252 კაცს — სოციალისტური შინდვრების მოწინავე ადამიანებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს და რაიონების ხელმძღვანელ მუშაკებს მიენიჭათ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება, ხოლო 1.403 კაცი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ხრამჰესის მშენებლობისა და საელექტროენერგეტიკო საქმეში ბოლოდროინდელ წარმატებებისათვის ხრამჰესმშენებლ ტრესტი დაჯილდოებულია ლენინის ორენით და მშენებლთა დიდი ჯგუფმა მიიღო სსრ კავშირის ორდენები და მედლები. ასევე, ორდენები და მედლები მიიღო საქართველოს ნავთის მრეწველობის მუშაკთა დიდმა ჯგუფმა.

ნაყოფიერად მუშაობდნენ მეცხოველეები, ხელოვნები, კულტურისა და საქართველოს სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკები. ხელოვნების ბევრმა მუშაკმა დაიმსახურა სტალინური პრემიის ლაურეატის სპპატონ სახელი.

ქართველი ხალხი, აღფრთოვანებული ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მრეწველობით, ხუთწლეულის ოთხ წელიწადში შესრულებასთვის გაჩაღებულ საყოველთაო სამეურნეო საკითხებზე დამოუკიდებელი და ზოგჯერ აღმასკომთან ერთად გაერთიანებულ დადგენილებათა გამოტანით, მაშინ როდესაც საქართველო სამეურნეო საკითხების უმრავლესობის განხილვა ხდებოდეს აღმასკომში, ხოლო პარტიული ორგანიზაციები თავიანთი ორგანიზატორული მუშაობით უნდა ხელმძღვანელობდნენ ამ საქმეებისათვის ბრძოლას.

ზოგიერთი კომპარტიის წარმომადგენელთა თათბირზე 1947 წელს სექტემბრის მიწურულს პოლონეთში ამხანაგმა გ. მალენკოვმა სიტყვაში მოხსენებაში სთქვა:

„ობლანსის პირობებში პარტიული ორგანოების ხშირად იძულებული იყვნენ ეკისრათ ოპერატიული მუშაობა მეურნეობის მართვის დარგში. ეს სწორი იყო იმ პირობებში, მაგრამ არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ამან ზოგიერთი ფარფოფფითი მოგლენენიც წარმოშვა პარტიული ორგანიზაციების მუშობის პრაქტიკაში. იწვევდა შინაპარტიული მუშობის შესუსტებას და ამასთან სახელმწიფოო და სამეურნეო ორგანოების მაგიერობის გაწევას. დარღვეული აღმოჩნდა ბოლშევიკური ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპი.

პარტიამ ამჟამად ერთ-ერთ მთავარ ამოცანად დაისახა ადგილობრივი პარტიული ორგანოების განმტკიცება და პარტიული ორგანიზაციების მუშობის გაძლიერება. შინაპარტიული მუშობის დონის ამაღლება და სახელმწიფო და სამეურნეო საქმიანობისადმი ბოლშევიკური ხელმძღვანელობის დონის ამაღლება — ასეთია შინაპარტიული მუშობის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ახლანდელ ეტაპზე.

ამ ამოცანების შესრულება განუყოფლად დაკავშირებულია ბოლშევიკური ორგანიზაციისა და თვითკრიტიკის განვითარებასთან, რომლებიც ჩვენი პარტიის ვანგეთარების ძირითად პირობას წარმოადგენენ.

* * *

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების რთული პრობლემები, რომლებიც წამოყენებულია მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით, მოითხოვენ, რომ პარტიული ორგანოები ღრმად სწავლიდნენ სამეურნეო ორგანოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშობას, ოპერატიულად უწევდნენ კონტროლს და წარმართავდნენ მათს საქმიანობას, ზრდიდნენ კადრებს დასახულ ამოცანათა უკეთ განხორციელებისათვის.

ამიტომ საჭიროა, რომ პარტიის სოლქო კომიტეტებმა, საქალაქო კომიტეტებმა და რაიკომებმა, აგრეთვე პრეზიდიუმებმა პარტიულმა ორგანიზაციებმა სათანადო ყურადღება მიაქციონ შინაპარტიული მუშობის ყოველმხრივ გაუმჯობესების საქმეს და განსაკუთრებით ახალგაზრდა კომკავშირელების აღზრდის საქმეს, ჩაბაან პარტიაში ახალგაზრდებები აქტიურ პოლიტიკურ მუშობაში, უზრუნველყონ მათი ავანგარეული ორიენტაციის ბრძოლა და კოლეგიურობებში, ჩვენი ცხოვრების ყველა უბანზე.

პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ღრმად წვდომოდნენ კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების საკითხებს, რათა ჩვენი მზარდი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვეტნიერება, ხელოვნება და კულტურა ინის ფრონტი ბერზე უზრუნველყოფილ მუშაკებს მოამზადებდეს ყადრებით.

პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა უზრუნველყონ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების ნამდვილი კონტროლი პარტიისა და სახელმწიფო ანარატის ყველა რგოლში, ფართოდ განავითარონ კრიტიკა და თვითკრიტიკა.

პარტიულმა ორგანოებმა კი არ უნდა გაიუპირონენ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოები, არამედ ყოველდღიურად უნდა ახარიკეულებნენ მათ მიმართ ბოლშევიკურ ხელმძღვანელობას და წარმართავდნენ მათს მუშობას.

საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ბაგიერობის გაწევა, ამ ორგანოებისადმი ზედმეტი მეურვეობა მხოლოდ ავნებს საქმეს. ჩაიაბოს ბასის ანტოგობას და მოსწყვეტს მათ ყოველდღიურ აქტიურ, შემოქმედებითს მუშობას.

პარტიულ ორგანიზაციებს აქვთ პოლიტიკური ხელმძღვანელობა და კონტროლის დიდი შესაძლებლობანი, რომ უზრუნველყონ ყოველი საწარმოს, კოლეკტიურების, საბჭოთა მეურნეობისა და მტს-ის სანიმუშო მუშობა. ხელმძღვანელობის ასეთი მეთოდი კი არ ამცირებს პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას მეურნეობის მდგომარეობისათვის, პირიქით, იგი ვალდებულს ხდის პარტიულ ორგანიზაციებს ყოველდღიურად იყონ მეურნეობის მდგომარეობის კურსში, იცოდნენ საწარმოს მოთხოვნილებანი, გულისხმიერად უგდონ ყური მასების ხმას, მუშობის ხალოვანებათა კრიტიკას და დროზე განსახორციელო ღონისძიებანი ამ ხალოვანებათა აღმოსაფხვრელად.

მომდინარე წლის დამდეგს ჩატარებული შრომეთა დეპეტატების ადგილმარჩევი საბჭოს ანრეგენმა ერთხელ კიდევ ცხადსყვეს, რომ დიდად გაიზარდა ჩვენი აქტივი ქალაქად და სოფლად. ეს აქტივი მრავალრიცხოვანი, ეკუთვნილი და განათლებული გახდა. ამ აქტივისადმი ახლებურად ხელმძღვანელობა ქალაქისა და სოფლის პარტიულ მუშაკებისაგან მოითხოვს არამარტო კარგად აწყობილ პრაქტიკულ მუშობას, არამედ მაღალ პოლიტიკურ მომზადებასაც. ეს აუცილებელი იმისათვის, რომ უნარი შეაწევდეს გადასწყვეტილ მეურნეობისა და პარტიულ-პოლიტიკური მუშობისადმი ხელმძღვანელობის რთული საკითხები.

ჩვენი რესპუბლიკის ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მე-17 პლენუმზე პარტიულ ორგანიზაციებს, ქართველ ხალხს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა მეოთხე სტალინური ხუთწლეული მესამე გადაწყვეტილ წლისათვის. მათი ცხოვრებაში გატარება მოითხოვს პარტიულ-ორგანიზაციული ეს ბოლშევიკური ბრძოლა, ეტეი არ არის, საქართველოს პარტიული ორგანიზაციები, ამ ბრძოლაში ბოლშევიკურ ტრადიციებზე, უსაზღვროდ ერთგულნი ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი, დიდი სტალინისადმი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, პარტიულ-პოლიტიკური მუშობის ამაღლების საფუძველზე მოიპოვებენ ახალ გამარჯვებებს მეოთხე სტალინური ხუთწლეულის მესამე გადაწყვეტილ წლის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

**კ. ფიფინაძე**

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სათანადო სამეცნიერო ინსტიტუტის გაგეგმილების მეგ.

# თანამედროვეობისაგან მოწყვეტისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ხელოვნებათმცოდნეობაში

ამას წინათ გამოვიდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომების — „ქართული ხელოვნების" მეორე ტომი. ერთადერთი მომენტი, რომლითაც ამ შრომების მთელი ღირსება ამოიწურება, ეს არის ნაკლებად ცნობილი და შეუსწავლელი ძველი ქართული არქიტექტურის რამდენიმე ძეგლისა და იმერეთის ხალხური არქიტექტურის ცალკეული ნიმუშების მეცნიერული აღწერა.

„ქართული ხელოვნების" ეს ტომი ერთის მხრივ, შემოფარგლულია ქართული ხელოვნების განვითარების მხოლოდ ძველი პერიოდით, ხოლო მეორე მხრივ, ძირითადად ემყარება მეტად ჩამორჩენილ ესთეტიკურ თვალსაზრისს.

ქართული ხელოვნების ისტორიის მხოლოდ ძველი პერიოდით შემოფარგვლა დამახასიათებელია არა მარტო შრომების ამ ტომისათვის, არამედ პირველი ტომისთვისაც. როგორც სჩანს, ინსტიტუტი საერთოდ არავითარ მუშაობას არ აწარმოებს როგორც ახალი და საბჭოთა ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის, ისე ქართული ხელოვნების სხვა დარგების შესწავლისათვის. ამავე დროს იგი დეტალურად სწავლობს ისეთ ძველ ნაგებობებს, რომლებსაც არსებითად მეტად განსაზღვრული მნიშვნელობა აქვთ ხელოვნების ისტორიისათვის. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ თბილისის ე. წ. „ლურჯი მონასტერი", რომლის შესახებ შრომების მეორე ტომში დაბეჭდილია ვ. ბერიძის ვრცელი ნარკვევი. ეს შენობა თვით ვ. ბერიძის დასკვნით, ამჟამად „იმდენად მხატვრული ინტერესის აღმძვრელი კი აღარ არის, რამდენადაც ისტორიულისა". („ქართული ხელოვნება", ტომი II, გვ. 110). გარდა იმისა, რომ საერთოდ ისტორიული ინტერესი ხელოვნებათმცოდნეობას არ შეიძლება გააჩნდეს ისეთი ძეგლების მიმართ, რომლებიც არ იწვევენ მხატვრულ ინტერესს, სრულიად გაუგებარია, რა საჭირო იყო ასეთი შენობის შესწავლაზე ამდენი ენერგიის დახარჯვა, მაშინ როდესაც ქართული ხელოვნების უფრო თვალსაჩინო მოვლენები ინსტიტუტის ყურადღების გარეშე დგას?.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ინსტიტუტის სრული მოწყვეტა თანამედროვეობისაგან, რის გამო მის მუშაობაში არავითარ ასახვას არ ჰპოულობს საბჭოთა ხელოვნების განვითარების საკითხები. სჩანს ინსტიტუტის ხელმძღვანელობას შესაფერი დასკვნა ვერ გამოუტანია საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილებებიდან ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე. ცხადია, კარგია, რომ ინსტიტუტი სწავლობს ძველი ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლებს, მაგრამ მარტო ამ მომენტით შემოფარგვლა ყოვლად გაუმართლებელია. სხვა რომ არ იყოს, ინსტიტუტს ეწოდება ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი და არა ძველი ქართული სახვითი ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი.

ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ასეთი კარჩაკეტილი მუშაობა არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევით მოვლენად. აქ უდავოდ ინსტიტუტის ხელმძღვანელობის გარკვეულ თვალსაზრისთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ამ მხრივ მეტად დამახასიათებელია ინსტიტუტის დირექტორის აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის შეხედულება ახალი ქართული ხელოვნების (XIX საუკუნისა და XX საუკუნის რევოლუციამდელი ქართული ხელოვნების) შესახებ. აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი თავისი „ქართული ხელოვნების ისტორიის" პირველი ტომის შესავალში სწერს: „თვითმპყრობელური რუსეთის სახელმწიფოში შესვლის შემდგომ საქართველო კაპიტალიზმის კალაპოტში შედის და **ევროპის ოფიციალური ხელოვნების ტალღის არენად იქცევა, რომელიც რუსეთის გზით შემოდის. ამ ხნის განმავლობაში ხელოვნების ორგანული განვითარება საქართველოში შეწყვეტილი და გაუპიროვნებულია**" (გ. ჩუბინაშვილი — „ქართული ხელოვნების ისტორია", ტ. I, გვ. 12. ხაზგასმა ჩემია—მ. დ.). ამრიგად, აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისით, ერთი მხრივ, არ არსებობს ახალი ქართული სახვითი ხელოვნება, მაშასადამე ისეთი შესანიშნავი ოსტატები, როგორიც არიან: გ. გაბაშვილი, რ. გველესიანი, ა. მრევლიშვილი, მ. თოიძე, ი. ნიკოლაძე, ნ. ფიროსმანიშვილი და სხვები არარსებული ქართული ხელოვნების წარმომადგენლებად გვევლინებიან, ხოლო, მეორე მხრივ, გასული საუკუნის რუსული ხელოვნებაც, თურმე, „ევროპული ხელოვნების ტალღის არენა" ყოფილა, მას არავითარი საკუთარი ნაციონალური სახე არ ჰქონია, რის გამო ამ ხელოვნებას მხოლოდ იმით მოუხდენია გავლენა ქართულ ხელოვნებაზე, რაც მას ევროპიდან ჰქონ- [illegible] ბინაშვილის თვალსაზრისით, **გასულ საუკუნეში ქართული ლიტერატურის განვითარებაც „შეწყვეტილია და გაუპიროვნებული"**. აი, ასეთი ყალბია აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის თვალსაზრისი.

ინსტიტუტის შრომებში ფართო ადგილს პოულობს ფორმალიზმი. ყოველი ძეგლის ანალიზი ამ შრომებში არსებითად იფარგლება ტექნიკურ-ფორმალური მომენტების მშრალი და აბსტრაქტიული აღწერით. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ დამახასიათებელ მაგალითს: „მთავარი სივრცის კედლები ამოყვანილია წესიერად და ზუსტად, რასაც გაზომვის ციფრები გვიჩვენებს. საპირედ ნახმარი თლილი ქვები ყველა ერთი ზომისა არ არის. დიდი ქვები ნახმარია ხვრელების წირთხლების გამოსაყვანად გადამხურავ კამარასა და აბსიდის წყობაში, დანარჩენი მოედანი კი ნაწყობია უფრო მომცრო ქვებით, რომლებიც თავისი ჯიშითა და აგრეთვე ფერითაც გამოიყოფება". (გვ. 35). ასეთი მეტად ცალმხრივი აღწერითი „ანალიზის" გამო, ბუნებრივია, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპებზე დამყარებულ კვლევა-ძიებას ამ შრომებში ვერ იგრძნობთ. სამაგიეროდ აქ არც ისე ძნელი ამოსაცნობია ველფლინის ცნობილი ფორმალისტური მეთოდის საკმაოდ ხელგაშლილი გამოყენება ოდნავ სახეშეცვლილად. ველფლინის ფორმალისტურ-იდეალისტური მეთოდის გადმონერგვა ქართულ ხელოვნებათმცოდნეობაში დაკავშირებულია აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილის სახელთან. გარდა იმისა, რომ ეს თვალსაზრისი, როგორც მეცნიერული კვლევა-ძიების საფუძველი, მკვეთრად არის ასახული მის შრომებში, აგრეთვე ველფლინის ფორმალისტურ-ესთეტიკური მსოფლმხედველობის სისწორის შესახებ მას არა ერთხელ აქვს მითითებული თავის გერმანულ ენაზე გამოცემულ შრომებში. ველფლინის ფორმალიზმის მიმართ აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილისა და მისი გავლენით მთელი ინსტიტუტის ასეთი დამოკიდებულება იმის მაჩვენებელია, რომ ხელოვნებათმცოდნეობის პარტიულობის საბჭოთა პრინციპი ინსტიტუტისათვის ჯერ კიდევ უცხო მოვლენაა.

შრომებში ყურადღებას იქცევს ძეგლების დათარიღების პრინციპიც.

ძეგლების დათარიღების შესახებ აქ უმთავრესად მეტად არაზუსტ, მეცნიერულ ღირსებას მოკლებულ დასკვნებთან გვაქვს საქმე. კერძოდ, ლ. რჩეულიშვილი ნარკვევში „ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი", ასკვნის: „ამგვარად, აკვანების ძეგლის მთლიანი კომპოზიცია ქართული ხელოვნების ძველ პერიოდშია შექმნილი (ამ სქემის პარალელს ძველი თრიალეთის ოლთისის ეკლესია წარმოადგენს). დეკორატიული მორთულობა, მოტივებითა და სტილით ესაზღვრება V-VI საუკუნის მიჯნის ძეგლებს (ბოლნისსა და ქვემო-ბოლნისს), ოღონდ გარე ფასადის დეკორატიული მორთულობის სისტემა და გაფორმების მხატვრული გეგმები მას ამ მიჯნას აშორებს და უფრო აქეთ სწევს, VII საუკუნის დასაწყისისაკენ, რაც იმას გვაფიქრებინებს, რომ აკვანების ძეგლი ერთგვარი შემაერთებელი ხიდია ბოლნისისა და ჯვარი-წრომისა, და შეიძლება ის VI საუკუნის ძეგლად მივიჩნიოთ". (გვ. 38).

გაუგებარია რატომ უნდა გვაფიქრებინოს ჩამოთვლილმა მომენტებმა, რომ ეს ძეგლი VI საუკუნეს ეკუთვნის და არა უფრო გვიანდელ ეპოქას? განა არ შეიძლებოდა ასეთი ხასიათის ძეგლი, V-VI და VII საუკუნეების არქიტექტურული ტრადიციების საფუძველზე აგებულიყო ან უფრო გვიან? ეს სრულიად შესაძლებელი იყო, მით უმეტეს, რომ ქართული საეკლესიო არქიტექტურის განვითარება, თუმცა მხატვრული ფორმების გარკვეული შინაგანი ევოლუციით ხასიათდებოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, არსებითად ერთი და იგივე იდეურ-სოციალური ამოცანების მხატვრულ ასახვას ემსახურებოდა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მხრივ დეკორაციული მორთულობის მომენტი. ორნამენტებისა [illegible] მხოლოდ ამხ. [illegible] თვალსაზრისს დავეყრდნოთ, მაშინ ხელოვნების არა მარტო მრავალი ცალკეული ნაწარმოების გადატანა, არამედ ხელოვანთა მთელი ჯგუფის გადასახლება დაგვჭირდება ადრინდელ საუკუნეებში.

დათარიღების განხილული ფორმალური პრინციპი განსაკუთრებით მკვეთრად არის წარმოდგენილი აგრეთვე ნ. ჩუბინაშვილისა და რ. შმერლინგის ნაშრომში „Храмы в древних селениях Триалети-Олтиси и Тетрицкаро". აქაც აბსტრაქტულად აღებული ხუროთმოძღვრული ფორმები მიჩნეულია არა მხოლოდ ძეგლების დასახასიათებლად, არამედ მეტად კატეგორიული დასკვნების საფუძვლადაც ამ ძეგლების თარიღის შესახებ.

„ქართული ხელოვნების" მეორე ტომში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოებაც. ეს ტომი იწყება აკადემიკოს სევეროვის სტატიით—„სამწევრისი" ქართულ და რუსულ ენებზე. ეს სტატია, რომელიც არსებითად მხოლოდ ინფორმაციული ხასიათისაა, გადმობეჭდილია ჟურნალიდან „Архитектура СССР" (1939 წ., № 21). გაუგებარია რა საჭირო იყო ამ სტატიის შრომებში დაბეჭდვა 10 წელზე მეტი ხნის შემდეგ? უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სტატიის შინაარსის თითქმის მთელი არსებითი ნაწილი გადმოცემულია მომდევნო ნარკვევში „მასალები სამწევრისის ტაძრის შესწავლისათვის", რომელიც აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილს ეკუთვნის. ესეც რომ არ იყოს, განა საკმარისი არ იყო, რომ ეს სტატია გამოეყენებია აკადემიკოს გ. ჩუბინაშვილს სათანადო მითითებით, როგორც ეს ჩვეულებრივ არის მიღებული ასეთ შემთხვევაში?

მაგრამ აქ სხვა გაუგებრობაც არის აღსანიშნავი. აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი თავის დასახელებულ ნარკვევში სამწევრისის ტაძრის შესახებ წერს: „ამ ძეგლის აღმოჩენა ბედნიერ წილად ხვდა ნ. სევეროვს 1918 წელს, როდესაც იგი წრომის ტაძარს ზომავდა" (გვ. 12), მაგრამ ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ ამ ტაძრის შესახებ ჯერ კიდევ ვახუშტის გეოგრაფიაშია ლაპარაკი, ტაძრის მდებარეობის ზუსტი აღნიშვნით: „ერთად-ერთი ცნობა სამწევრისის ტაძრის შესახებ, ვიდრე მას 1918 წელს აღმოაჩენდნენ, მოიპოვებოდა ვახუშტის გეოგრაფიაში". (გვ. 12).

ვახუშტს ემატება სხვა მკვლევარების ცნობებიც, რომელთა სიზუსტეს თუმცა სამართლიანად აკრიტიკებს აკადემიკოსი გ. ჩუბინაშვილი, მაგრამ, რომლებიც ამ ნაკლის მიუხედავად მაინც აღნიშნავდნენ სამწევრისის ტაძრის არსებობას, რის გამო ვახუშტის ცნობა არ შეიძლება ჩაითვალოს ერთადერთ ცნობად. ყველაფერი ეს კი აშკარას ხდის იმ გარემოებას, რომ ნ. სევეროვის „აღმოჩენამდე" დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი სამწევრისის არსებობა და ამიტომ იგი ვერ ჩაითვლება ნ. სევეროვის დამსახურებად.

დასასრულ კიდევ ერთი „წვრილმანი" შენიშვნაც. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შრომებს მხოლოდ ერთხელ აქვს დასათაურება — „ქართული ხელოვნება". ძირითადად კი ინსტიტუტი მას უწოდებს „Ars Georgica"-ს. რაც შეეხება შრომების რუსულ სახელწოდებას, იგი არც ერთ ტომში ერთხელაც არ გვხვდება, და ეს მაშინ, როდესაც შრომები დაბეჭდილია მხოლოდ ქართულ და რუსულ ენებზე.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა ყურადღება უნდა მიაქციოს ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მუშაობას, რომელსაც არსებითი გარდაქმნა ესაჭიროება.

**მ. დუდუჩავა.**

## ასპინძის რაიონში

### რაიონის კეთილმოწყობა

ფართოდაა გაშლილი მუშაობა რაიონის კეთილმოწყობისათვის. მარტო „ტყის დღესთან" დაკავშირებით დარგულ იქნა 69.800 ძირი მცენარე, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50.000-სა.

### ხერთვისის ჰიდროელექტროსადგური

სოფელ ხერთვისში შენდება 600 ცხენისძალიანი ჰიდროელექტროსადგური, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს რაიონის მოთხოვნილებას.

ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში კოლმეურნეებთან ერთად აქტიურ მონაწილეობას იღებს მოსწავლე ახალგაზრდობაც. საქართველოს ალკკ ასპინძის რაიკომმა ამას წინათ მოაწყო კვირაობა, რომელშიც მონაწილეობდა 600 ახალგაზრდა. მათ 1500 კუბური მეტრი მიწის სამუშაოები შეასრულეს და დაამზადეს 100 კუბური მეტრი ქვა.

### იშენებენ ლამაზ ბინებს

სოფელმა ოშორამ უკანასკნელ წლებში სრულიად შეიცვალა სახე. მარტო შარშან აქ ოცმა კოლმეურნემ აიშენა მშვენიერი სახლები. წელს ახალ საცხოვრებელ ბინებს იშენებენ კოლმეურნეები ნ. ნეფარიძე, ბ. სახელაშვილი, იაგორ და გალაქტიონ ფანჩულიძეები, ნინო ხელაშვილი და სხვები.

## ჩოხატაურის რაიონში

წელს დამთავრდა რაიონში ყველაზე დიდი ხიდის მშენებლობა მდინარე გუბაზოულზე სოფელ ხიდისთავში. ხიდის სიგრძე 62 მეტრს უდრის.

ხიდის მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ხიდისთავის სასოფლო საბჭოში შემავალმა 6 კოლმეურნეობამ და რაიონის მშრომელებმა.

* * *

ხიდისთავის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობაში მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრდება აბანოს მშენებლობა.

## ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

### ლექცია-მოხსენებანი სანიტარულ-გამაჯანსაღებელ თემებზე

გაზეთი „საბჭოთა აჭარა" 5 ივნისის ნომერში სწერს, რომ წითელი ჯვრის აჭარის საოლქო კომიტეტმა მინდვრის სამუშაოთა გაჩაღებასთან დაკავშირებით თავის გარშემო შემოიკრიბა მედიცინის მუშაკები და დიდ დახმარებას უწევს კოლმეურნეებს. მოამზადეს სანიტარული აქტივი. სოფელ ალამბრის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში ახლად შექმნილი ჯანმრთელობის დაცვის პუნქტი, რომელსაც საექიმო უბნის გამგე ბ. ჯიჯელავა ხელმძღვანელობს, ამზადებს სანიტარულ საგუშაგოებს ბრიგადების მიხედვით. მთელ ოლქში ეწყობა ლექციები სანიტარულ-გამაჯანსაღებელ თემებზე. ყოველ რაიონში მოწყობილია რამდენიმე ათეული ლექცია. ლექციებს კითხულობენ მოწინავე ექიმები.

აჭარის სახელმწიფო ფილარმონიამ გამოჰყო მხატვრული ბრიგადა, რომელსაც დაევალა მხატვრული მომსახურება გაუწიოს კოლმეურნეებს. ბრიგადა უკვე შეუდგა მუშაობას. კონცერტები გაიმართა ქედის, ბათუმისა და ქობულეთის რაიონებში.

### შენდება ჩაის ფაბრიკა

გაზეთი „საბჭოთა აჭარა" იუწყება, რომ ქობულეთის რაიონის სოფელ ალამბარში დაიწყო ჩაის ფაბრიკის მშენებლობა, ნავარაუდევი სამუშაოები სწრაფი ტემპით მიმდინარეობს. ფაბრიკა მზად იქნება 1949 წლის სეზონში ჩაის ფოთლის მიღება-გადამუშავებისათვის.

### სასკოლო მშენებლობა

ამას წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) ხულოს რაიკომმა და რაიაღმასკომმა მიიღეს გადაწყვეტილება სასკოლო მშენებლობის შესახებ, რომლის მიხედვით წელს უნდა აიგოს დაწყებითი სკოლის 25, რვაწლიანი სკოლის 10 და საშუალო სკოლის 1 ახალი შენობა. გაზეთი „საბჭოთა აჭარა" სწერს:

„ხულოს რაიონის მშრომელები ამ დადგენილებას აღფრთოვანებით შეხვდნენ. სოფელ ირემაძეებში და გომარდულში უკვე შეუდგნენ სკოლის ახალი შენობის აგებას, სოფელ წანწკალაურში კი სკოლის შენობის ასაგებად დაამზადეს ხე-ტყის მასალა და ამ დღეებში შეუდგებიან მშენებლობას".

### პირველი განალეწი ხორბალი სახელმწიფოს

სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებში დღითი დღე ძლიერდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება და პირველი განალეწი მარცვლეულის სახელმწიფოსათვის ჩაბარება. კოლმეურნეობები უკვე შეუდგნენ სახელმწიფოსათვის ხორბლის ჩაბარებას. 16 ივნისს დაბა წნორის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ მიმღებ პუნქტს ჩააბარა 2.139 ტონა პირველი განალეწი ხორბალი.

### კოლმეურნე მეაბრეშუმეთა წარმატება

გეგეჭკორის რაიონის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ელისაბედ თაფლაძემ აბრეშუმის ჭიის გამოკვება 22 დღეში დაამთავრა და 7 გრამი თესლიდან სახელმწიფოს ჩააბარა 44 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი.

სოფელ ინჩხურის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის მეაბრეშუმემ ვერა წოწორიამ 8 გრამ თესლზე სახელმწიფოს ჩააბარა 46 კილოგრამი პირველი ხარისხის პარკი.

## ჩვენ გვწერენ

### როდის მოგვაქცევენ ყურადღებას?

ქ. თბილისის ლენინის ქუჩაზე მდებარე № 66 და № 68 სახლებს ქვისა და აგურის კედელი ჰყოფდა. № 66 სახლი გორაზე დგას, № 68 სახლი კი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ — ვაკეზე. 1946 წლის ივნისში ნიაღვრის დროს გამყოფი კედელი ჩამოინგრა. ჩვენი პატარა ეზო ზვავმა დაფარა და ოთახები ქვიშისა და წვიმის წყლით აივსო. დახმარებისათვის დაუყოვნებლივ მივმართეთ თბილისის ორჯონიკიძის რაისაბჭოს აღმასკომს.

ჩვენმა განცხადებამ შედეგი არ მოიტანა. მივმართეთ მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. მათგან არა ერთხელ მოსულა კომისია, სასწრაფო ზომების მიღებასაც დაგვპირდნენ, მაგრამ ფაქტიურად დღემდე არაფერი გაუკეთებიათ. ყოველთვის წვიმის მოსვლისას შიში გვიპყრობს, მიწისა და ლორღის ზვავი ჩვენი ბინების ფანჯრებზე არის ჩამოწოლილი და ჩვენს სიცოცხლეს საფრთხეში აყენებს.

როდის მიიღებს სათანადო ზომებს მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი?

**ლენინის ქუჩა № 68-ის მობინადრეები: პ. შამქულაშვილი, გ. მელიქიძე, გ. არუთინოვი, შ. აბუთიძე.**

კარლო კალაძე

## მასწავლებელი ქალი

იმერეთის მთაგორები
მღერით ასარბენია! —
მიყვარს, თავს რომ დავადგები,
როცა მე არ მელიან!

მიყვარს, როცა თვალს შევასწრებ
სოფელს, ჩუმად მძინარეს,
ვარსკვლავები კენჭებივით
როცა მიაქვს მდინარეს!

გაზაფხულის დილა მიყვარს, —
მისი თვალის ბრიალი!
შილიფად რომ გამოხედავს
ქალი თავსაფრიანი...

როცა ვიღაც მკვირცხლი ბიჭი,
ალუბლების ჩრდილს იქით
ზის და ლექსებს როგორც ჩიტი
იზეპირებს ჭიკჭიკით!

გაზაფხულის დილა სოფლად
ვიცი, ვინ შემაყვარა...
მაგრამ რა ვქნა, რა დავარქვა
ნათელა თუ მაყვალა?

იგი სოფლად ყველას უყვარს,
თუმც ყმაწვილი ქალია, —
იგი, როგორც ხალხი იტყვის:
მთელი სოფლის თვალია!

ყოველ დილით, საოცნებოდ
მეც გულს მიკრთობს შორითა:
ეგ, ნისლივით თეთრი კაბა,
ჩუმი ჩამოქროლითა!

ეგ, ვარსკვლავთა დედოფლისგან
ნაჩუქარი თვალები!
ღრუბლებად რომ დაჰყვებიან
მუდამ ჩემისთანები.

და მეც თუმცა გართული ვარ
მუდამ შრომით, შენებით, —
ალალბედად მეც მახარებ,
ქალო, შენი მშვენებით!

ან რად მინდა მთაგორები
ასე მიმოხატული, —
სოფლად რომ არ გაისმოდეს
შენი ტკბილი ქართული!..

რომ გამოხვალ, — გამოხედავ
ვარდებს შემოჩვეულებს...

მაგრამ გულზე უნებლიედ
რად იხუტებ რვეულებს!
რა იქნება, ჩაირბინო
კიბე ისე ან ეზო, —
ხელ-დახრილმა ხეხილებმა
ყელს არ მოგეალერსონ!

შენ ისეთი ძალით გეხიბლავ
და ისეთი უფლებით —
რომ ცისპირზეც ჩერდებიან
მოგზაური ღრუბლები.

განა მხოლოდ სოფლის ბიჭებს
ჩანთებ გადაკიდულებს, —
შენ სალამით აშრიალებ
თვით შარა-გზის კიდურებს!

გზის კიდეზე შეჩერდება
ქუდმოხდილი ბებერი, —
იტყვის: — ჩვენი გოგონაა,
ჩვენი მასწავლებელი!

და შენ გიცდის სკოლის ეზო,
გიცდის ოდის რვა თვალი,..
თეთრ მინდორზე დასათესი
შავი ხნულის მარცვალი!
და არ ვიცი, ბებერ მუხას
ირგვლივ ცეცხლი უნთია, —
თუ ეს ფრთა-ჭრელ ფრინველების
მოკიყინე გუნდია!..

მაგრამ უცებ, აივანზე
ზარი გაიწკრიალებს, —
სიყვარულით ერთად შეჰკრებს
თვალებს ნაპერწკლიანებს!

და შენს ირგვლივ მიყუჩდება
ურიამული დილისა, —
დგება წუთი საამური
პირველ გაკვეთილისა.
განა მხოლოდ სოფლის სკოლას
უყვარს შენი ქართული,
განა მხოლოდ მთაგორები
გისმენს მიმოკალთული,

განა ხალხი გართულია
მხოლოდ შრომით, შენებით, —
შრომადღესაც ემატება
ეშხი შენი მშვენებით!

პრესის მიმოხილვა

## ოპერატიულობისათვის ბრძოლის მაგალითები

კარგი მუშაობის მაგალითს იძლევა საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების რუსთავის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ორგანო გაზეთი „მეტალურგიისათვის" (პასუხისმგებელი რედაქტორი ამხ. გ. ხუციშვილი). გაზეთი ახერხებს ჩვენი ყოველდღიურობის საკითხთა წყებაში შენიშნოს, ამოკრიბოს და ხელი ჩასჭიდოს მთავარ, საკვანძო საკითხებს, ბოლომდე მიჰყვეს ძათ და დაწყებული საქმე ყოველთვის წარმატებით დააგვირგვინოს. აი მაგალითები:

რუსთავში გაჩაღებულ საბინაო მშენებლობაში ყველაზე „ვიწრო ადგილს" საბათქაშო სამუშაოთა შესრულება წარმოადგენს. ამ სამუშაოთა შესრულების სიძნელე მრავალ გარემოებასთანაა დაკავშირებული (დ. დ. შრომითს ტევადობასთან, მებათქაშეთა კვალიფიციური კადრების სიმცირესთან, სამუშაოთა მექანიზაციის მოუგვარებლობასთან). ამავე დროს ცნობილია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საბინაო მშენებლობის დაჩქარებას რუსთავში. საბათქაშო სამუშაოთა შესრულებაში წელს დიდ პროგრესს მიაღწიეს მოსკოველმა მებათქაშეებმა. ერთმა მათგანმა „მოსჟილგორსტროის" მებათქაშე სტახანოველმა ს. მალიგინმა დაამუშავა საბათქაშო სამუშაოთა შესრულების ნაკადური მეთოდი, რომელიც დღიური ნორმების დიდი გადაჭარბებით შესრულების საშუალებას იძლევა. ს. მალიგინის გამოცდილების გაცნობისთანავე გაზეთ „მეტალურგიისათვის" რედაქციაში მოიწვიეს რუსთაველ მებათქაშეთა თათბირი. გადაწყდა დაუყოვნებლივ გადასულიყვნენ ნაკადური მეთოდით მუშაობაზე. ამ საქმის თაოსნობა იკისრა კომკავშირელ მებათქაშეთა იმ ბრიგადამ, რომელსაც ა. ჟუკოვი ხელმძღვანელობს. გაზეთმა ამის შესახებ დაწვრილებით უამბო თავის მკითხველებს.

ახალი მეთოდით მუშაობას ა. ჟუკოვის ბრიგადა 10 მაისიდან უნდა შესდგომოდა, მაგრამ

„საბინაო მშენებლობის მეხუთე უბნის უფროსმა ინჟინერმა პირალოვმა როდი მოისურვა რედაქციაში შემდგარ თათბირზე მებათქაშეებისათვის მიცემული დაპირების შესრულება. 10 მაისს სამუშაოდ გასულ მებათქაშეებს პირალოვმა არ მისცა არც სამუშაო ფრონტი, არც ხელსაწყოები და არც მასალები. ამ დღეს ჟუკოვის ბრიგადა გაცდა. მეორე დღემ კიდევ მეტი უსიამოვნება შეახვედრა ინიციატორ მებათქაშეებს".

ამ სიგნალის შემდეგ გაზეთმა მეორე დღესვე მიიღო პასუხი:

„საქართველოს ალკკ რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა თქვენს გაზეთში მოთავსებული შენიშვნა ახალგაზრდა მებათქაშეთათვის დახმარების გაუწევლობის შესახებ და აღძრა საკითხი რუსთავის საბინაო მშენებლობის სამმართველოს ხელმძღვანელის ამხ. ზამთარაძის წინაშე სასტიკი პასუხი მოსთხოვოს ინჟინერ პირალოვს და უცვლა მათ, ვისი მიზეზითაც შეფერხდა მებათქაშეთა ბრიგადის ნაკადური მეთოდით მუშაობაზე გადასვლა. საბინაო მშენებლობის სამმართველოს კომკავშირულ კომიტეტს წინადადება აქვს მიცემული მხარი დაუჭიროს მებათქაშეთა ინიციატივას და უზრუნველჰყოს მათთვის ყოველგვარი დახმარება"...

რა მოხდა შემდეგ? 14 მაისიდან მებათქაშეებმა დაიწყეს ახალი მეთოდით მუშაობა. მომდევნო სამი დღის განმავლობაში თვითეულმა მათგანმა 152 პროცენტით გაანაღდა გეგმა. მებათქაშეთა პირველი მიღწევებისა და გამოცდილების შესახებ გაზეთმა კვლავ ვრცლად აუწყა თავის მკითხველებს— მასობრივად აითვისეთ ნაკადური მეთოდით მუშაობა!—მოუწოდებდა გაზეთი ადგილობრივ მებათქაშეებს.

წელს მეოთხე კვარტალში უნდა ამუშავდეს მარტენის საამქროს ერთი ღუმელი, რომელმაც უნდა მოგვცეს პირველი ქართული ფოლადი. ამ საამქროს მშენებლობა რუსთავში დაკვრითი ხასიათისაა,

„მაგრამ თუ ასე გაგრძელდა მეტალურგიული ქარხნის ხელმძღვანელთა, სახელდობრ მარტენის საამქროს ხელმძღვანელთა გულგრილობა (საამქროს უფროსი ამხ. ხ. შარაშენიძე), ღუმელის მონტაჟი უთუოდ შეფერხდება და მომავალ შემოდგომაზე პირველი ქართული ფოლადის გამოდნობის ვალდებულებას მეტალურგები ვერ გაანაღდებენ. ჩვენ დაუყოვნებლივ გვჭირდება 34 ტონა ფოლადისა და 50 ტონა თუჯის ხხმული. მოგვეცით ფოლადი, მოგვეცით თუჯი. მოგვაწოდეთ მოწყობილობა და მოგვთხოვეთ სამუშაოთა დროით შესრულება!".

ასეთი მოთხოვნა წაუყენეს მარტენის ღუმელის მემონტაჟეებმა ქარხნის ხელმძღვანელებს და, მართლაც, გაზეთის მორიგი ნომრიდან მკითხველი იგებს, რომ მშენებლებმა და მემონტაჟეებმა უკვე მიიღეს ყველა საჭირო მასალა, რომ ქარხნის ხელმძღვანელობამ მიიღო ყველა ზომა მომავალში ასეთ შეფერხებათა თავიდან ასაცილებლად.

— ყურადღება, რეპროდუქტორები სდუმან!

ასეთი სათაურით გამოაქვეყნა გაზეთმა მამხილებელი მასალა 17 აპრილის ნომერში. ეს იყო გაზეთის მიერ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი მომსახურების შესამოწმებლად ჩატარებული რეიდის მასალა, რომელშიც აღნიშნული იყო არა მარტო რადიომომსახურების ამბავი, არამედ ისიც, თუ როგორ მიივიწყეს რუსთავის ზოგ საწარმოსა და საცხოვრებელ სახლში ზრუნვა ადამიანთა კეთილდღეობისათვის. გაზეთის მიერ მიცემული ეს სიგნალი განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) რუსთავის საქალაქო კომიტეტის ბიურომ. მიღებული ზომების შედეგად, რეპროდუქტორები მეორე დღიდანვე ამუშავდნენ.

გაზეთი ხშირად ახერხებს ადგილობრივი ცხოვრების სხვადასხვა ობიექტების მშენებლობის ვრცლად და საინტერესო ფორმით გაშუქებას, დახმარებას უწევს მშენებლებს მთელი რიგი „ვიწრო ადგილების" დაძლევაში, რაზმავს მასებს საწარმოო დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად.

მაგრამ გაზეთი „მეტალურგიისათვის" როდია უნაკლო. გაზეთში ყველა მასალა არ არის ლიტერატურულად დახვეწილი (განსაკუთრებით ქართული ტექსტისა), გაუმართავია სტილისტურად, წერილებს ხშირად შეუფერებელი სათაურები აქვთ. ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება გაზეთისათვის ძნელი არ არის.

გაზეთი „მეტალურგიისათვის" საქართველოს ახალი ინდუსტრიული ქალაქის — რუსთავის მშენებლების, მეტალურგთა ახალგაზრდა კადრების მებრძოლი ორგანოა. კიდევ უფრო გააფართოონ და აამაღლონ თავიანთი გაზეთის როლი, როგორც კოლექტიური აგიტატორის, პროპაგანდისტისა და ორგანიზატორისა, — ასეთია ამ გაზეთის სარედაქციო კოლექტივისა და მის გარშემო შემოკრებილი აქტივის ამოცანა.

# საფრანგეთის ეროვნულ კრებაში

## კამათი საგარეო პოლიტიკის შესახებ

**პარიზი**, 12 ივნისი. (საკდესი). გუშინ საღამოს ეროვნულ კრებაში დაიწყო კამათი მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრმა ბიდომ წარმოსთქვა გერმანიის საკითხზე ექვსი სახელმწიფოს ლონდონის კონფერენციის რეკომენდაციებისადმი მიძღვნილი ვრცელი სიტყვა. თავის სიტყვაში ბიდო უმტკიცებდა პარლამენტს, რომ საფრანგეთმა უპირატესობას მიაღწია ლონდონის კონფერენციაზე, და ცდილობდა გაემართლებინა საფრანგეთის დელეგაციის პოზიცია, რომელიც საფრანგეთის საზოგადოებრივმა აზრმა დაჰგმო საფრანგეთის ეროვნულ ინტერესთა დაცვაზე ხელის აღების გამო. ბიდომ განაცხადა, „შეშფოთება, რომელიც გამოსთქვეს შეთანხმებათა გამო, გამართლებული არ არის“. „რაც უნდა ილაპარაკონ ლონდონის რეკომენდაციებზე, — განაცხადა ბიდომ, — უსამართლობაა კაპიტულაციაზე ან გამცემლობაზე ლაპარაკი“.

როგორც ბიდომ ხაზგასმით აღნიშნა, საფრანგეთი ლონდონის კონფერენციის გადაწყვეტილებებს რომ არ შეერთებოდა, ამ გადაწყვეტილებებს ორი სახელმწიფო უმისოდაც მიიღებდა. ბიდომ განაცხადა, რომ ლონდონის რეკომენდაციები საფრანგეთისათვის „ყველაზე ნაკლებ ცუდი შანსია“, და სთხოვა ეროვნულ კრებას მოიწონოს ეს რეკომენდაციები, რათა „სამშობლო მარტოდმარტო არ დარჩეს“.

ბიდოს კრინტიც არ დაუძრავს რეპარაციებზე.

შემდეგ სიტყვა მიეცა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ ერთი ოთხთაგანი ინტერპელაციის ავტორს — დე მუსტიეს (უკიდურესი მემარჯვენე „თავისუფლების რესპუბლიკური პარტიის“ წევრი). დე მუსტიემ განაცხადა, რომ „ბიდოს ეროვნული კრებისათვის არ მიუ-

...ის ნებას მოგახვევთ თავს და, თუ საჭირო გახდა, ძალის საშუალებითაც.

თქვენ საჯარო ვაჭრობით გაჰყიდეთ საფრანგეთის უშიშროების ინტერესები, შესძახა ბიიუმ.

ბიიუმ მოაგონა სხდომას საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული ხსნის პროგრამა და სთქვა, რათა რეალიზებულ იქნას ეს პროგრამა, რომელიც ნამდვილად შეესაბამება საფრანგეთის ინტერესებს, საჭიროა სხვა მთავრობა, საჭიროა საფრანგეთის დემოკრატიული ძალების გაერთიანება.

**პარიზი**, 13 ივნისი. (საკდესი). გუშინ ეროვნულ კრებაში გრძელდებოდა კამათი მთავრობის საგარეო პოლიტიკის საკითხზე.

დეპუტატმა პიერ კოტმა („წინააღმდეგობის რესპუბლიკური კავშირი“) თავის სიტყვაში, რომელიც ეროვნულმა კრებამ დიდი ყურადღებით მოისმინა, ხაზგასმით აღნიშნა ამ კამათის უდიდესი მნიშვნელობა არა მარტო საფრანგეთის მომავლისათვის, არამედ ევროპისა და მსოფლიოს შემდგომი ორგანიზაციისთვისაც.

კოტმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა საშიშროებას შეიცავენ ლონდონის შეთანხმებანი, რომლებიც გერმანიის აღდგენის ჩანასახს ატარებენ, გერმანიისას, რომელიც ჯერ კიდევ არ არის დენაციფიცირებული და დემოკრატიზებული, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ფაშიზმის ნაშთები. ლონდონის შეთანხმებანი იმას ნიშნავენ, რომ საფრანგეთი ხელს იღებს რეპარაციებზე, და შემთხვევითი როდია, რომ ბიდოს თავის სიტყვაში კრინტიც არ დაუძრავს მათ შესახებ.

ამერიკელები, განაგრძო კოტმა, დიდ შეშფოთებას არ განიცდიან გერმანიის ძლიერების აღდგენის გამო. ამრიგად, ისევე, როგორც 1918 წელს, ინგლის-ამერიკის კრედიტები ხელს...

...დებინათ, თითქოს, სსრ კავშირს „მიუძღვის ბრალი“ გერმანიის გათიშვისათვის.

სოციალისტებს, სთქვა დასასრულ ფილიპმა, ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტიათ, ლონდონის რეკომენდაციების სასარგებლოდ მისცემენ ხმას, თუ მათ წინააღმდეგ.

**პარიზი**, 15 ივნისი. (საკდესი). დღეს საღამოს ეროვნულ კრებაში განახლდა 11 ივნისს შეწყვეტილი...

# ჩეხოსლოვაკიის ახალი მთავრობა

**პრაღა**, 15 ივნისი. (საკდესი). დღეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა დაამტკიცა მთავრობის ახალი შემადგენლობა, რომელიც მისი დავალებით ანტონინ ზაპოტოცკიმ ჩამოაყალიბა. მთავრობის შემადგენლობაში შევიდნენ:

პრემიერ-მინისტრი ანტონინ ზაპოტოცკი (ჩეხოსლოვაკიის კომპარტია), პრემიერ-მინისტრის მოადგილეები: ვილემ შიროკი (სლოვაკიის კომპარტია), ზდენეკ ფირლინგერი (სოციალურ-დემოკრატიული პარტია); იან შევჩიკი (სლოვაკიის აღორძინების პარტია), საგარეო საქმეთა მინისტრი — ვლადო კლემენტისი (სლოვაკიის კომპარტია); ეროვნული თავდაცვის მინისტრი — ლუდვიგ სვობოდა (უპარტიო); შინაგან საქმეთა მინისტრი — ვაცლავ ნოსეკი (ჩეხოსლოვაკიის კომპარტია); განათლების მინისტრი — ზდენეკ ნეედლი (ჩეხოსლოვაკიის კომპარტია); საგარეო ვაჭრობის მინისტრი — ანტონინ გრეგორი (ჩეხოსლოვაკიის კომპარტია). დანარჩენი ცამეტი ადგილი კაბინეტში განაწილებულია შემდეგნაირად: ჩეხოსლოვაკიის კომპარტიამ მიიღო 5 ადგილი; სლოვაკიის კომპარტიამ — 1 ადგილი; სოციალურ-დემოკრატიულმა პარტიამ — 2 ადგილი; სლოვაკიის თავისუფლების პარტიამ — 1 ადგილი; ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურმა პარტიამ — 2 ადგილი, სახალხო პარტიამ — 2 ადგილი.

# ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრ ზაპოტოცკის განცხადება

**პრაღა**, 16 ივნისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან საუბარში ახალი მთავრობის უახლოესი ამოცანების საკითხზე ჩეხოსლოვაკიის პრემიერ-მინისტრმა ანტონინ ზაპოტოცკიმ განაცხადა:

ახალი მთავრობის უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ყველა იმ მიზნის განხორციელება, რომლებიც დასმული იყო ყოფილი პრემიერ-მინისტრის, რესპუბლიკის ახლანდელი პრეზიდენტის კლემენტ გოტვალდის საპროგრამო სიტყვაში. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შემუშავებულ და განხორციელებულ იქნას ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარე ყველა კანონი და შეიქმნას ნამდვილი დემოკრატიული კანონმდებლობა.

მრეწველობის დარგში ჩვენ დღემდე უმეტეს შემთხვევაში ძველის აღდგენით ვკმაყოფილდებოდით. ახლა საჭიროა დაწყებულ იქნას წარმოების რეკონსტრუქციის დაგეგმვა, მისი გაფართოება, გათვალისწინებულ იქნას ის საჭიროებანი, რომლებიც გამომდინარეობენ სლავ ხალხებთან ჩვენი კავშირიდან და მსოფლიო ბაზარზე არსებული პირობებიდან. ბუნებრივია, რომ ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ნედლეულის საკუთარი წყაროების არსებობა.

ახალი მთავრობის ჩამოყალიბება, — სთქვა შემდეგ ზაპოტოცკიმ, — არ ნიშნავს ჩვენი საგარეო პოლიტიკის რაიმე ცვლილებას. ახალი მთავრობა დაემყარება ჩვენს მტკიცე კავშირს საბჭოთა კავშირთან და თავის პოლიტიკას დააფუძნებს დემოკრატიულ სახელმწიფოებთან მეგობრულ ურთიერთობაზე.

# პრეზიდენტმა გოტვალდმა მიიღო ჩეხოსლოვაკთა დელეგაციები

**პრაღა**, 16 ივნისი. (საკდესი). რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა გუშინ თავის რეზიდენციაში მიიღო ჩეხოსლოვაკიის არმიის დელეგაცია ეროვნული თავდაცვის მინისტრ გენერალ სვობოდას მეთაურობით; ეროვნული უშიშროების კორპუსის დელეგაცია სახელმწიფო უშიშროების გენერალ იანდის მეთაურობით; ქალაქ პრაღის ეროვნული კომიტეტის დელეგაცია პრაღის პრიმატორ დოქტორ ვაცეკის მეთაურობით; პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს დელეგაცია ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ციპროს მეთაურობით; ჩეხ მიწათმოქმედთა კავშირის ცენტრალური საბჭოს დელეგაცია კავშირის თავმჯდომარის ნეპომუცკის მეთაურობით.

დელეგაციებმა გოტვალდს გადასცეს თავიანთი ორგანიზაციების მილოცვა პრეზიდენტის პოსტზე მის არჩევასთან დაკავშირებით და აღუთქვეს მას სრული ნდობა და ერთგულება.

პრეზიდენტმა მიიღო აგრეთვე საეკლესიო ორგანიზაციებისა და უმაღლესი სამღვდელოების დელეგაციები.

# დეპეშების გაცვლა ბენეშსა და გოტვალდს შორის

**პრაღა**, 16 ივნისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ყოფილმა პრეზიდენტმა დოქტორმა ედუარდ ბენეშმა და ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კლემენტ გოტვალდმა ერთმანეთს დეპეშები გაუგზავნეს.

თავის დეპეშაში ბენეში სწერს: „ბატონო პრეზიდენტო, თქვენ გხვდათ მაღალი პატივი ჩვენი ძვირფასი რესპუბლიკის პირველი მუშაკი გამხდარიყავით. გილოცავთ და გულითადად მოგესალმებით. თქვენი ედუარდ ბენეში“.

გოტვალდმა შემდეგი დეპეშით უპასუხა: „ბატონო პრეზიდენტო. თქვენმა მოსალმებამ და მილოცვამ რესპუბლიკის პრეზიდენტად ჩემი არჩევის გამო დიდი სიხარული მომანიჭა. გულწრფელად გმადლობთ და აგრეთვე გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს. თქვენი კლემენტ გოტვალდი“.

# უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის პლენუმი

**ბუდაპეშტი**, 15 ივნისი. (საკდესი). დღეს დილით შესდგა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური ხელმძღვანელობის პირველი პლენარული სხდომა.

პლენუმმა აირჩია პარტიის სამდივნო, პოლიტბიურო და საორგანიზაციო ბიურო. პარტიის გენერალურ მდივნად ერთხმად არჩეულია მატიას რაკოში, მის მოადგილეებად მიხაი ფარკაში, იანოშ კადარი და დიერდ მაროშანი.

პარტიის თავმჯდომარედ არჩეულია არპად საკაშიჩი.

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური ორგანოს გაზეთ „საბად ნეპის“ მთავარ რედაქტორად პლენუმმა დაამტკიცა პოლიტბიუროს წევრი იოჟეფ რევაი.

# ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება

**ტელ-ავივი**, 17 ივნისი. (საკდესი). როგორც რადიოსადგური „ისრაელის ხმა“ იუწყება, ისრაელის სახელმწიფოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გუშინ პრეს-კონფერენციაზე განცხადება გააკეთა ნავთით პალესტინის მომარაგების საქმეში ინგლისის ჩა-...

...სხვა დაინტერესებულ კომპანიებთან მოლაპარაკებიდან ჩვენ გამოვიტანეთ დასკვნა, რომ ისინი თავისთავად ასეთ მაქინაციებს არ მიმართავდნენ.

ყოველივე ამას,—განაცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს...

# ოთხი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება საკავშირო პირველობისათვის

15 ივნისს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო 1948 წლის საკავშირო პირველობისათვის (სამხრეთი ზონა) ოთხი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა გუნდური შეჯიბრება.

შეჯიბრების მონაწილეებს მიესალმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ა. ფარულავა.

შეჯიბრება ტარდება ერთ წრედ ქულობრივი სისტემით. გაიმარჯვებს ის გუნდი, რომელიც ქულათა მეტ რიცხვს დააგროვებს. იმ შემთხვევაში, თუ ორი გუნდი ქულათა თანაბარ რაოდენობას დააგროვებს, მაშინ უპირატესობა მიეცემა იმ გუნდს, რომელსაც მეტი გუნდური გამარჯვება ექნება.

## პირველი ტური

16 ივნისს, თბილისის ოფიცერთა სახლში შესდგა შეჯიბრების პირველი ტური. ამ დღეს ერთმანეთს შეხვდნენ: საქართველო-აზერბაიჯანი და მოლდავეთი-სომხეთი.

თამაშის პირველი სვლებიდანვე, ათივე დაფაზე (ცხრა მამაკაცი და ერთი ქალი) გაიმართა ცხარე და დაძაბული ბრძოლა.

პირველ დაფაზე საქართველოს ჩემპიონი შიშოვი შეხვდა სპორტის დამსახურებულ ოსტატს მაკაგონოვს. პარტია გადაიდო. მაკაგონოვს მცირე უპირატესობა აქვს.

მეორე დაფაზე სოროკინ-აბრამიანის პარტია ყაიმით დასრულდა.

ციტნოტმა გადასწყვიტა ქილიკოვ-ფირცხალავას პარტიის შედეგი. ფირცხალავამ ვერ მოასწრო დადგენილ ვადაში 40 სვლის გაკეთება და პარტია წაგებულად ჩაეთვალა; ზლაიძემ რამდენიმე სუსტი სვლა გააკეთა გულდინის წინააღმდეგ და წააგო პაიკი. პარტია გადადებულია. ცინცაძე-მახტახტინსკის პარტია გადაიდო ცინცაძისათვის წასაგებ მდგომარეობაში. დანარჩენ დაფებზე გაიმარჯვეს საქართველოს მოჭადრაკეებმა: ვეიზერმა მოუგო ლევიტასს, გერშკოვიჩმა — ამირჯანოვს, გ. ლონდაძემ — გაზაროვს და გოგიავამ — გორბაჩევას. შეხვედრის საერთო შედეგია 6½ : ½ და სამი გადადებული პარტია საქართველოს გუნდის სასარგებლოდ.

მოლდავეთისა და სომხეთის მოჭადრაკეთა შორის ამ დღეს მხოლოდ 4 პარტია დასრულდა. 2½ ქულა მოიგეს მოლდაველებმა და 1½ ქულა სომხეთის მოჭადრაკეებმა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

დღეს, 18 ივნისს, შესდგება მეორე ტური. ერთმანეთს შეხვდებიან მოლდავეთი-საქართველო და აზერბაიჯანი-სომხეთი.

# მწერალთა კლუბში

18 ივნისს, საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე, მწერალთა კავშირის საბავშვო ლიტერატურის სექცია მწერალთა კლუბში (მაჩაბლის, 13) მართავს მწერლების **ელიზბარ ზედგინიძისა** და **დავით შამათავას** ახალი საბავშვო წიგნების **„სალამურის ხმისა“** და **„ნათესავების“** განხილვას.

მოხსენებას გააკეთებს მწერალი **როდიონ ქორქია**. განხილვაში მონაწილეობას მიიღებენ მწერლები, პედაგოგები და მკითხველები.

შესვლა თავისუფალია.

# მენდელეევის საზოგადოებაში

კვირას 20 ივნისს, დღის 1 საათზე, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიურ აუდიტორიაში შესდგება მენდელეევის სახელობის სრულიად-საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილების წლიური კრება.

დღის წესრიგი: პროფესორი ნ. ს. ციციშვილი — რუსეთისა და საბჭოთა ქიმიის ისტორიაზე სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან მოწყობილი თათბირის შედეგები; ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. მ. კაკაბაძე — ქიმიის როლი სახალხო მეურნეობაში და მენდელეევის სახელობის ქიმიური საზოგადოების ამოცანები; საზოგადოების განყოფილების პრეზიდიუმის ანგარიში; სარევიზიო კომისიის ანგარიში. სხდომაზე მოწვეული არიან ქიმიკოსები—წარმოებისა და მეცნიერების მუშაკები.

პასუხისმგებელი რედაქტორის მოადგილე **ი. ნატროშვილი**


...თეატრალური ინსტიტუტი აწარმოებს 1948-49 სასწავლო წლისათვის სარეჟისორო და თეატრმცოდნეობის ფაკულტეტებზე ... დაიშვებიან საშუალო სკოლადამთავრებულნი. ... თეატრმცოდნეობის ... ნამოსულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო ... ა. წ. 20 ივნისიდან. გამოცდები დაიწყება 16 აგვისტოს.

... ინსტიტუტის კანცელარიაში ყოველდღე 12 საათ... დღეებს გარდა.

... № 17, ტელეფ. 3—64—11, 3—34—80.

...ტების მეურნეობა და პროფილაქტიკა სტაფილოკოკით“.

ოფიციალური ოპონენტები: სსრ კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი ა. წულუკიძე და მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ი. შველიძე.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომებს სამედიცინო ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (თარხნიშვილის ქუჩა № 29).

...ტრანსპორტზე.

განცხადებების მიღება სწარმოებს 31 ივლისამდე.

საერთო საცხოვრებლით სტუდენტები უზრუნველყოფილ იქნებიან შეძლებისდაგვარად.

თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის უფროსი, გზის და მშენებლობის მე-3 რანგის გენერალ-დირექტორი, დოცენტი **კობახიძე**

...20-VI, 4 ს. ვედინის III გასავალი, 4.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს მუშაკთა კოლექტივი იუწყება მარო გიორგის ასულ გალავანოვი-ასათიანის გარდაცვალებას.

ბ. ნანიტაშვილი, ი. ნატროშვილი, თ. მღებრიშვილი, ს. კაიტანჯიანი, თ. კუნჭულია, მ. კალანდაძე, ა. კოკილაშვილი, ბ. თათარიშვილი, პ. ბახტურიძე, პ. გუნიავა, ქ. აფრიდონიძე, ი. მხატვარი, შ. წიწვიძე, შ. მანჯავიძე თანაგრძნობას უცხადებენ ამხ. დ. ლომთაძეს მისი შვილის ლეილას გარდაცვალების გამო.

...ნუსი ხალვაძის გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ბათუმში.

მეუღლე გალაქტიონ, შვილები მედეა, ლამარა და ლორეტა გიორგობიანები იუწყებიან, რომ 20-VI, 3 ს. ქ. გორში შესდგება მერი მიხეილის ასულ გიორგობიანის პანაშვიდი.


რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის —3-08-67, სამდივნოს—3-06-88, განყოფილებების: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის — 3-81-84, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტო — 3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის — 3-80-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელის და მშრომელთა წერილების—3-73-24, მორიგისა და გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობისა — 3-51-81, ატამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 00065